# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 27 ივნისი 2008 №146 (3370) ფასი 50 თეთრი



# ფინალი გაზისგან დაიცალა

სრულიად ესპანეთი ამ დღეს მთელი 24 წელი ელოდა. მაშინ, 1984-ში ესპანელები საფრანგეთში გამართული კონტინენტის პირველობის ფინალში გავიდნენ, იქ კი მასპინძლებთან დამარცხდნენ.

პარიზულ ფინალამდე 20 წლით ადრე კი იყო მადრიდული ფინალი, რომელშიც გენერალისიმუს ფრანკოს თვალწინ ესპანელებმა ევროპის მოქმედი ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ნაკრები დაამარცხეს.

საკვირაო ფინალი ესპანელთათვის მესამე იქნება, გერმანიისთვის კი ეს ფინალი მეექვსეა. საინტერესო ამბავი კი გამოდის: 13 ჩემპიონატში ესპანელებს და გერმანელებს ერთად ცხრა ფინალი უგროვდებათ, ერთმანეთს კი ახლა პირველად ხვდებიან.

წუხელ კი ერთ პოპულარულ რუსულ ვებგვერდზე მოწყობილ გამოკითხვაში, რა იყო ჩვენი დამარცხების უმთავრესი მიზეზიო, რუსთა უმეტესობამ უპასუხა, კლასიო...

## ესპანურ კორიდაში ბატები დარბოდნენ





ალექსანდრე ინწკირველი (№24) საქართველოში დაბრუნდა

# ცობელის დინამომ ინწკირველი მიიღო

**თბილისის** „დინამოს" სააზ-ალსეზონოდ პირველი ახალწვეული ჰყავს — 26 წლის მცველი ალექსანდრე ინწკირველი, ვინც საქართველოში „ვიტ ჯორჯიადან" თამაშით გვახსოვს, აქამდე კი აზერბაიჯანულ „ქარვანში" იყო. თბილისელებმა ინწკირველს ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს და სხვებთან ერთად მოსამზადებლად გერმანიაში წაიყვანეს.

გერმანიამდე კი „დინამო" მოსკოვში გაჩერდება და იქაურ „დინამოს" გაეჯიბრება. მოსკოველები მინსკელ, კიეველ და თბილისელ დინამოელებთან მატჩებით თავიანთი კლუბის 85 წლის იუბილეს აღნიშნავენ და ჩვენებიც სათამაშოდ ამად მიიწვიეს. თბილისელებამდე რუსები კიეველებს 1:1 დაუზავდნენ და პენალტებით იმარჯვეს, მერე მინსკელები მიიღეს და 2:0 მოუგეს. ახლა თბილისის „დინამოს" ჯერია, მატჩი ხვალ 18 საათზე დაიწყება და, როგორც გავიგეთ, რუსული ტელეკომპანია РТР-ის პირდაპირი ეთერით გადაიცემა.

29 ივნისის ღამით კი თბილისელები გერმანული ბადბლანკერბურგისკენ აბარგდებიან, სადაც ორკვირიან მოსამზადებელ შეკრებას მოაწყობენ.

რაინერ ცობელმა მოსკოვში და ბადბლანკერბურგში ეს ფეხბურთელები წაიყვანა: *გიორგი ლორია, გიორგი ლოსაბერიძე, დავით დოლმელაშვილი, შოთა და გურამ კაშიები, ლევან ხმალაძე, დავით ოდიკაძე, ნიკოლოზ ფირცხალავა, გიორგი მერებაშვილი, მათე ვაწაძე, გიორგი ნერგაძე, გულვერდ თომაშვილი, ალექსანდრე ინწკირველი, მილოშ კრშკო, ილია სპასოევიჩი, ოლეგ გველესიანი, ზვიად ქანთარია, ნიკოლოზ ჯიშკარიანი, გიორგი გუგავა.*

გაბონელები, დიდიე ოვონო და ჟორჟ აკირემი გუნდს გერმანიაში შეუერთდებიან. ისინი, ალბათ იცით, გაბონის ნაკრებში არიან გამოძახებულნი და ხვალ ლესოტოსთან უნდა ითამაშონ. ამათ გარდა „დინამოს" ბადბლანკენბურგში სხვა უცხოელებიც ჩააკითხავენ, ოღონდ გასასინჯად და მწვრთნელისთვის თავის მოსაწონებლად. გამორჩეულად კი რაინერ ციბელს მცველებისა და თავდამსხმელების დამატების ინტერესი აქვს.

მოსკოვის „დინამოსთან" მატჩის გარდა თბილისელებს გერმანიაში ხუთი ამხანაგური შეხვედრა აქვთ დაგეგმილი: 1 ივლისს — ბადბლანკენბურგის ნაკრები; 3 ივლისს — „კარლ ცაისი"; 5 ივლისს — „ერფურტი"; 8 ივლისს — აუე; 9 ივლისს — „ბაინჰოფი".

„დინამო" შინ 11-ში დაბრუნდება და ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის მზადებას აქვე გააგრძელებს.

**კობა ინასარიძე**

# სპარტაკის ბევრი ახალი

## დიმიტრი სანაკოევი: მოვა დრო და, საქართველოს ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ

ცხინვალის „სპარტაკის" ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდი იყო წინა სეზონში და, სავარაუდოდ, შემადგენლობა დიდად არც შეიცვლება. კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი „მიხეილ მესხის" სტადიონის სათადარიგო მინდორზე ვარჯიშობს და გუშინ იქ ბევრ ახალ ფეხბურთელს ნახავდით — დაახლოებით 30 ახალგაზრდას, რომლებიც გასინჯვაზე არიან.

ჟორჟიკაშვილმა და მისმა თანაშემწე არჩილ ჩხაბერიძემ „ახლები" დაყვეს და ორკარა ათამაშეს. ხრიოკ მინდორზე ბიჭებს ბურთის დამორჩილება უჭირდათ, ამიტომაც, თვალსასიერო არაფერი გვინახავს.

გასინჯვაზე მყოფთა უმეტესობის გვარები ვერაფერს გეტყვით, მხოლოდ გორის „დილადან" ნამოსულ ორ ფეხბურთელს აღვნიშნავთ — ნახევარმცველ გიორგი აბრამიშვილს და ნიგერიელ თავდამსხმელ დიქსი ჩუკვუს.

ძირითადი გუნდის ფეხბურთელებიდან მხოლოდ მეკარე ბესიკ კოდალაევი თამაშობდა, დანარჩენები კი მოგვიანებით მოვიდნენ — დიდუბის მანეჟში იყვნენ სავარჯიშოდ.

ის იყო, ორკარა დაიწყო, რომ „სპარტაკის" პრეზიდენტი, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი **დიმიტრი სანაკოევიც** მოვიდა — ჟორჟიკაშვილს, ჩხაბერიძეს და კლუბის სხვა პერსონალს მიესალმა და დაახლოებით ნახევარი საათი უყურა ბურთაობას...



— არა მარტო თამაშებზე, ვარჯიშებზეც დავდივარ — გვითხრა დიმიტრი სანაკოევმა, რომელსაც ინტერვიუ ვთხოვეთ.

— წინა სეზონში ხშირად ესწრებოდით მატჩებს. საბოლოო ჯამში, კმაყოფილი თუ ხართ გუნდით?

— უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვს. „სპარტაკი" ნელნელა შეეჩვევა მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას, წინა სეზონში კი იყო მატჩები, როცა ლიდერებს ტოლს არ ვუდებდით. გუნდმა საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზე რამდენიმე კარგი თამაში აჩვენა, გამართული ფეხბურთი ითამაშა.

— შემადგენლობის გაძლიერებას თუ მოახერხებთ? ანუ, ფინანსების მხრივ როგორ იქნება საქმე?

— „სპარტაკი" ბიუჯეტზეა, მაგრამ არ გამოვრიცხავ, დაფინანსება გაიზარდოს. მე თვითონაც აქტიურად ვარ ჩაბმული გუნდის მუშაობაში, მაინტერესებს ახალი ფეხბურთელები. ძალიან გვინდა, რომ „ზესტაფონიდან" დავიბრუნოთ ფეხბურთელები — ისინი, ვინც წინა სეზონში განათხოვრებით ჩვენთან თამაშობდნენ.

— შეკრებას თუ გეგმავთ?

— ჯერ სეზონის დაწყებამდე საკმაო დროა და ბოლომდე არ ჩამოვყალიბებულვართ.

— მომავალ სეზონში რა მიზნები ექნება „სპარტაკს"?

— უფრო მყარად დამკვიდრება უმაღლეს ლიგაში. ჩვენ ახალი გუნდი ვართ და ნაბიჯ-ნაბიჯ გვიწევს წინსვლა, ამ წინსვლას კი მე წინა სეზონში შევესწარი და ძალიან გამიხარდა, მომავალში საქართველოს ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ. არ ვიცი, როდის დადგება ეს დრო, მაგრამ შევეცდებით, რაც შეიძლება, მალე ვიქცეთ საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად.

— გეტყობათ, ძალიან გიყვართ ფეხბურთი...

— აბა, როგორ?! ბავშვობიდან მიყვარს ფეხბურთი, ვთამაშობდი კიდეც, მაგრამ მხოლოდ ბავშვობაში და ჭაბუკობაში, „ტყავის ბურთის" ტურნირებზე.

— ევროპის ჩემპიონატზე ვის გულშემატკივრობთ?

— ვისაც ვგულშემატკივრობდი, უკვე სახლშია — ჰოლანდიას.

— და ახლა, როცა უკვე ერთი ფინალისტი ცნობილია, ვინ მიგაჩნიათ ფავორიტად?

— ვფიქრობ, რუსეთს აქვს ყველაზე დიდი შანსი. ეს გუნდი მატჩიდან მატჩამდე უმატებს, ხომ ნახეთ, რა ფეხბურთი ითამაშეს ჰოლანდიასთან. პლუს, მათ გენიალური მწვრთნელი ჰყავთ...

**ილია ნანობაშვილი**

„ჩემპიონთა თამაშები" — ასე ჰქვია მოსკოვის „დინამოს" 85 წლის იუბილისადმი მიძღვნილ მატჩებს, რომელიც მოსკოვში 26-29 ივნისს იმართება: იუბილარი კლუბი სამ „დინამოს", კიევის, მინსკისას და თბილისისას ხვდება. ამ ყველაფრის გენერალური სპონსორია „ვითიბი ბანკი" და აქვე ვთქვათ, რომ მოსკოვისა და თბილისის დინამოელები ერთმანეთს 28 ივნისს შეხვდებიან. ამ მინი-ტურნირს პრესკონფერენცია მიუძღვნეს თბილისში. „რია-ნოვოსტის" ცენტრში ჟურნალისტებს „ვითიბი ბანკის" გენერალური დირექტორი ევგენი ნებერინსკი და საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი გვესაუბრნენ...

# ვითიბი ბანკი მოსკოვის დინამიადაზე

„ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სპორტული თვალსაზრისით წარმატებულ წარსულსა და წარმატებულ მომავალს შორის ურთიერთკავშირს. მოსკოვის, თბილისის, კიევისა და მინსკის დინამოელები საბჭოეთის დროს ყოველთვის პრინციპული მეტოქეები იყვნენ და ახლა ფეხბურთის მოყვარულებს აქვთ საშუალება, კიდევ ერთხელ ნახონ საყვარელი გუნდების მატჩი. პოლიტიკა გვერდზე უნდა გადაიდოს, ამ შემთხვევაში ფეხბურთი ორი ქვეყნის ადამიანებს აახლოვებს" — გვითხრა ნემერინსკიმ და დაამატა, თბილისის „დინამოს" მოგება უფრო გამიხარდება, რადგან წელიწადზე მეტია, საქართველოში ვარო.

„ვი თი ბი ბანკი" თითქმის ნახევარი წელიწადია, პროფლიგის სპონსორია, ამავდროულად საქართველოს სუპერთასის გენერალური სპონსორიცაა. ეს თანამშრომლობა 2+2-წლიანია — სწორედ ამაზე ისაუბრა დიმიტრი რამიშვილმა და ისიც თქვა, „ვი თი ბი ბანკი", შესაძლოა, ინფრასტრუქტურულ პროექტებშიც ჩაერთოს, სტადიონების რეკონსტრუქცია იქნება ეს თუ სხვაო...

შემდეგ ნემერინსკის ჰკითხეს, „თანამეგობრობის თასი" მუდმივად რუსეთში რომ იმართება, თქვენი მეშვეობით ხომ არაა მოსალოდნელი, სხვა ქვეყნებშიც ჩატარდესო, რაზეც რუსი ჩაფიქრდა, კარგი იდეაა და ვნახოთო...

ერთიც, თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელებიც გაჰყვნენ მოსკოვში და ალბათ, ისინიც ითამაშებენ მოსკოვის დინამოელ ვეტერანებთან.

მოსკოვის „დინამო" — თბილისის „დინამო": ჩვენებისთვის მოსკოვური გუნდი ყველაზე უხერხული მეტოქე იყო საბჭოეთში, მასთან უარყოფითი ბალანსი გვქონდა, მაგრამ პრესკონფერენციაზე ტკბილად გაიხსენეს 1979 წლის თასის ფინალი, როცა თბილისელებმა პენალტების სერიაში სძლიეს მოსკოველებს და სწორედ იმ თასის წყალობით გავიდნენ თასების თასზე, სადაც ყველაფერი 1981 წლის 13 მაისის ტრიუმფით დასრულდა.

**ილია ნანობაშვილი**

# ელიავას მესამე ტესტი

**ზაალ ელიავამ**, რომელიც პერმის „ამკარში" ისინჯება, მესამე ამხანაგური მატჩი ჩაატარა.

პერმელები პოლონურ „გურნიკთან" 0:2 დამარცხდნენ, ელიავამ კი პირველი ტაიმი ითამაშა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველის სატრანსფერო უფლებები რიგის „სკონტოს" ეკუთვნის და ის „ამკარში" გასულ ზამთარსაც ისინჯებოდა, თუმცა მაშინ პერმელთა ხელმძღვანელობამ გუნდში დატოვებაზე უარი უთხრა.

**ბახა შალამბერიძე**

# რუბინმა სამიდან ერთი გამოარჩინა

**ყაზანის** „რუბინის" მცველმა დავით კვირკველიამ, რომელიც გუნდთან ერთად შეკრებაზე ავსტრიაშია, ამხანაგური მატჩი გამართა „ლასკთან".

ყაზანელებმა 2:0 მოიგეს და კვირკველია თამაშში 55-ე წუთზე ჩაერთო.

„რუბინის" კიდევ ორი ქართველი ლეგიონერი, მეკარე ნუკრი რევიშვილს და მცველი ლაშა სალუქვაძე არ გამოჩენილან.

**ბახა შალამბერიძე**

## ამხანაგური მატჩები

დინამო (კ) 2:1 კრილია
ცსკა 4:4 ლუჩ-ენერგია

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა. IX ტური

იარო 1:1 ჰიკ
ჰონკა 1:2 ვაასა
მარიეჰამნი 1:1 ინტერი
მიუპა 2:0 კტპ
როვანიემი 2:2 ლაჰტი
ტამპერე 2:0 კუოპიო

## ისლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

ფილკირი 0:1 გრინდავიკი



გიო ახვლედიანის სვეტეული

# კაპიტან გრანტის შვილები

სანამ თურქეთი ეთხოვებოდა ევროპის ჩემპიონატს, საქართველომ უკვე დაასახელა ახალი მწვრთნელის კანდიდატურა.

ავრაამ გრანტი დღეს საყოველთაოდ ცნობილი კაცია მსოფლიო ფეხბურთში, მგონი, არავის დაავიწყდება ის სველ კოსტუმში, „ლუჟნიკის“ წვიმაში და არც მისი წყნარად ნაკეთები საქმე, საყოველთაო პატივისცემა რომ მოუტანა რთულ კლუბში და ყველაზე რთული მედიის თვალში. არადა, შარშან ამ დროს გრანტი არ იყო საყოველთაოდ ცნობილი კაცი და „პორტსმუთში“ მუშაობდა დირექტორად. მანამდე ის ისრაელის ნაკრების მწვრთნელი იყო და საქართველოს ამხანაგურში მოუგო თბილისში. თუ არ ვცდები, კიდევ უფრო მანამდე, რამდენიმე წლის წინ, მისგან იყო არაოფიციალური და ხმამაღლა გაუცხადებელი სურვილი ჩვენი ნაკრების გაწვრთნაზე. ჭორია ეს თუ ნამდვილი, არ ვიცი, გამიგია კი. მაშინ ჩვენს უფროსობას სხვა აურჩევია, ახლა კი გრანტმა სახელი დაიგდო და თუკი საქართველოს ნაკრები პროექტია და მე მგონია, რომ ის ცალკე პროექტად რჩება ტოპმიოლერის ჩაფლავების მიუხედავად, გრანტის აწინდელი სახელი ამ პროექტში გამოსადეგია. სწორედ ამ ტალღაზე, რომელზეც ახლა გრანტი იმყოფება.

მეორე პლუსი ალბათ ის არის, რომ გრანტმა ჟოზე მაურინიუს შემდეგ შეძლო „ჩელსის“ ფეხბურთელების მართვა. მამობრივი ფიგურა შეიქნაო, თვითონ ინგლისელები წერდნენ. ეს პატარა საქმე არ არის, მით უმეტეს, საქართველოს ნაკრებისთვის.

გრანტი უკვე ავტორიტეტია და ეგებ ჩვენს განთქმულ თუ განუთქმელ ბიჭებსაც გზა უჩვენოს ამ მხრივ.

აგერ ერთი თვის წინ ხმა გავარდა, ფედერაციას გრანტის ჩელსელი თანაშემწე, ჰენკ ტენ კატე სურსო, ბობოქარი კაცი და მაგარი მწვრთნელი. ორიოდ კვირის წინ ისიც კი გავიგე, მავანი აგენტი თვით მაურინიუს გაესაუბრა, სწორედ მაშინ, როცა ის „ინტერის“ მწვრთნელი ხდებოდაო. მოკლედ, რას აღარ გაიგებ. ფოლკერ ფინკე და დაუსახელებელი რამდენიმე კაციც სულ გაისმოდა.

ახლა გრანტი. ჭკვიანი კაცია ეს გრანტი. მერე რა, რომ ყველა გადამწყვეტი ბრძოლა დათმო ინგლისსა და ევროპაში. ასე იტყვიან ხოლმე, ყველა გადამწყვეტიო, თორემ არ დაუთმია ყველა გადამწყვეტი.

მგონი, ჩვენი ნაკრების და „ჩელსის“ მიზნები სხვადასხვაა.

ყოველ შემთხვევაში, ამ ხმადაბალმა კაცმა ბევრ რამეს ღირსეულად გაუძლო.

ამ ლაპარაკ-ლაპარაკში თანდათან გრანტის მხარეს გადავედი.

თუ გამოვიდა ეს საქმე, საინტერესო იქნება. ჯერ გრანტი იყოს, ამასობაში კი ეგებ გუს ჰიდინკიც გათავისუფლდეს. აგარაკი აჩუქეს პოდმოსკოვიეშიო. აგარაკების მეტი რა გვაქვს, თუ მაინცდამაინც რუსები არ უყვარს. ხომ გახსოვთ, დონ კორლეონეო, ისეთ წინადადებას შესთავაზებს, უარს ვერ იტყვიანო. აი, ასე უნდა შესთავაზო. ოღონდ, ჯერ გათავისუფლდეს. კაი, ხუმრობას მოვეშვათ. ჰიდინკზე ფიქრს, აგერ, კაი კაცი თითქმის ხელში გვყავს.

მთავარია, არ დაგვეკარგოს კაპიტან გრანტი.

და კაპიტან გრანტის შვილებიც საჭიროდ მოიქცნენ. მთავარი მაინც შვილებია.

ქართველები ვართ, ეგ გვესწავლება?

თუ გრანტი ჩვენთვის გრანდი გამოდგა, გავიხარებთ.

ამ გრანტობაში კი თურქეთისა და გერმანიის ამბავი მიმავიწყდა.

იცით, რა არის, სიმართლე რომ ვთქვა? თუ კაცი ჟურნალისტი ხარ და ასეთ თამაშზე დაწერას აპირებ, სტადიონზე უნდა იყო. ტელევიზორში თქვენც ნახეთ. სააგენტოთა ცნობებიც აქვეა. ფინალამდე ხმასაც არ ამოვიღებ.

ტკბილ ფინალს გისურვებთ!

# ცხადაძემ ბაქოსთვის ბოლქვაძეც ისურვა

ბაქოს „სტანდარდის“ მთავარ მწვრთნელ კახა ცხადაძეს ამერელი დავით ბოლქვაძის გადაბირება სურს, რომელიც ამ გაზაფხულზე ზაქათალის „სიმურგში“ იყო განათხოვრებული.





აზერბაიჯანული სააგენტოების ცნობით, თუ „სტანდარდის“ ხელმძღვანელობა თბილისელებთან ბოლქვაძის ტრანსფერზე შეთანხმდება, ქართველი ფეხბურთელის ბაქოში გადასვლას წინ აღარაფერი დაუდგება.

საინტერესოა, რომ კახა ცხადაძემ გუნდში ერთი ქართველი — მეკარე მიხეილ ალავიძე უკვე აიყვანა.

კახა შალამბერიძე

# ციმაკურიძის კენტი ტაიმი

გიორგი ციმაკურიძემ ლუგანსკის „ზარიას“ შემადგენლობაში მეორე ამხანაგური მატჩი დონეცკის „მეტალურგის“ წინააღმდეგ ჩაატარა.

ლუგანსკელები 0:2 დამარცხდნენ, ციმაკურიძემ მეორე ტაიმი ითამაშა.

რაც შეეხება „ზარიას“ კიდევ ერთ ქართველ ლეგიონერ ლადო ბურდულს, მას შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია.

კახა შალამბერიძე

# გიგიაძე მესამეში გამოჩნდა

ავსტრიულ შეკრებაზე მყოფმა სიმფეროპოლის „ტავრიამ“ მესამე ამხანაგური მატჩი გამართა და პირველად გამოჩნდა მთავარი გუნდის შემადგენლობაში ქართველი ახალწვეული ვასილ გიგიაძე. აქამდე ის ოდენ სარეზერვო გუნდში თამაშობდა.

„ტავრიამ“ 3:2 მოუგო ავსტრიულ „ზალცბურგს“, გიგიაძე კი 52-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.

კახა შალამბერიძე

# ქალთა ივერია

დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ფუტსალში ქალ ფეხბურთელთა შორის. ჩემპიონობა მოიპოვა ხაშურის „ივერიამ“, რომელმაც ყველა, რვავე მატჩი მოიგო. მეორე ადგილზე ქუთაისის „მართვე“ გავიდა, მესამეზე კი — ქობულეთის „ფრიადოსანი“.

ამათ გარდა, ჩემპიონატში ბათუმის „დინამო“ და გორის „გოლი“ მონაწილეობდნენ. თამაშები კი ბათუმის, ქობულეთის, ქუთაისის, გორისა და ხაშურის სპორტულ დარბაზებსა და მინი-მოედნებზე გაიმართა.

კახა შალამბერიძე

# პროფესიული კონტრაქტი თარგამაძეს ახალი სეზონიდან მთავარ გუნდში

დავით თარგამაძე და მისი „ფრაიბურგი“ გერმანიის 19-წლამდელთა ბუნდესლიგის ჩემპიონები რომ გახდნენ, გეცოდინებათ. ქართველი ნახევარმცველი ჯერაც გერმანიაშია და ჩვენც იქ შევეხმიანეთ სასაუბროდ. აქედანვე გეტყვით, რომ თარგამაძე ახალი სეზონიდან ასაკობრივ გუნდში აღარ ითამაშებს — მას პროფესიული კონტრაქტი შესთავაზეს..

— რას იტყვი „ვოლფსბურგთან“ მოგებულ ფინალზე?

— „ფრაიბურგი“ თავის ისტორიაში პირველად გახდა ჩემპიონი და ძალიან გახარებულები ვართ.

— რა გითხრეს მწვრთნელმა და ხელმძღვანელობამ თამაშის მერე?

— პროფესიული კონტრაქტი შემომთავაზეს და რა ვიცი, მგონი, ყველაფერი კარგად არის.

— რამდენწლიანი?

— ჯერ არჩილ არველაძეს უგზავნიან ჩემს კონტრაქტს და ზუსტად არ ვიცი, რამდენწლიანია.

— ფინალში საკუთარი თამაშით კმაყოფილი დარჩი?

— უფრო გუნდური თამაში იყო და, შეიძლება ითქვა, რომ კმაყოფილი ვარ.

— ალბათ „ფრაიბურგის“ მთავარი მწვრთნელიც ესწრებოდა თამაშს.

— არა, ტელევიზორში უყურა.

— საერთოდ, ამ სეზონს როგორ შეაფასებ?

— ძალიან კარგად და შედეგიც სახეზეა.

— ფინალზე დასასწრებად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი პეტარ სეგრტი აპირებდა ჩამოსვლას...

— არ ვიცი... რომ ჩამოსულიყო, აუცილებლად ვნახავდი.

— ახლა რას აპირებ? ძირითად გუნდში თუ არ გადაგიყვანეს, ალბათ მანდ დარჩენას აღარ ისურვებ...

— უკვე მითხრეს, რომ ძირითად გუნდში გადავყავარ. მენეჯერი და მთავარი მწვრთნელი ამის თაობაზე მესაუბრნენ.

— მოსალოცი ამბავია...

— გმადლობ. ფინალის შემდეგვე მითხრეს, რომ ახალი სეზონიდან მთავარ გუნდში ვიქნები და ვნახოთ...

— 19-წლამდელთა ბუნდესლიგის დონეზე რას იტყვი?

— ძალიან დიდი დონეა. არ ველოდი ასეთს. ბევრი უნდა იშრომო, რათა წარმატებას მიაღწიო.

— მართლა ხელოვნურსაფარიან მოედნებზეა თამაშები?

— არა, მინდორზეა. ძალიან იშვიათობაა, ხელოვნურ საფარზე რომ ვითამაშოთ...

— ბევრი უცხოელი ლეგიონერი ჰყავთ გერმანულ კლუბებს?

— კი, საკმაოდ.

— მოკლედ, ორივე პატარა ქართველმა ეს სეზონი კარგად გამოიყენეთ: შენც მთავარ გუნდში გადაგიყვანეს „ფრაიბურგში“ და ლევან ყენიაც — „შალკეში“...

— ლევანის წარმატებაც ძალიან მიხარია. ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული.

— თბილისში როდის ჩამოდიხარ?

— არ ვიცი. ჯერჯერობით აქ ვარ და ვნახოთ, როდის მოგვცემენ შვებულებას...

კახა შალამბერიძე





დავით თარგამაძე (ქვედა რიგში, მარჯვნივ) თანაგუნდელებთან ერთად ბუნდესჩემპიონობას ზეიმობს



კოკა ტომარაძე (№10)

# სახეზე გატყობთ კმაყოფილებას...

## ჭაბუკები გამარჯვებით დაბრუნდნენ

**წარმატებული** გამოდგა მიხეილ კობეშავიძის დებიუტი ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელის პოსტზე. გუშინ ჩვენმა 18-წლამდელებმა თბილისს წინასაევროპო შეკრებისთვის ნასტუმრები უკრაინელი თანატოლები 67:62 დაამარცხეს და B დივიზიონისთვის მოსამზადებელი ეტაპი კარგ ხასიათზე დაიწყეს.

კობეშავიძის დებიუტი ვახსენეთ და იგივე შეიძლება ითქვას მთლიანად ჭაბუკთა ნაკრებზეც. ბოლო წლებში 18-წლამდელები აღარ შეკრებილან და შესაბამისად, არც საერთაშორისო ტურნირებში მიუღიათ მონაწილეობა. მიზეზი ის გახლავთ, რომ ამ ასაკს შედარებით „დაჩაგრული" თაობა დაემთხვა და საერთაშორისო ასპარეზზე წარმატების შანსიც მცირე იყო. ახლა კი, 3 წლიანი შესვენების შემდეგ, კალათბურთის ფედერაციამ ისევ შეკრიბა ჭაბუკები, რომლებსაც თავკაცად კობეშავიძე დაუყენა და მათ გუშინ პირველი გამარჯვება მოიპოვეს საკმაოდ მძლავრ, A დივიზიონის ბინადარ უკრაინის ნაკრებთან.

დილმის ბაზაზე გამართულმა მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ვის არ ნახავდით იქ — ეროვნული ნაკრების ლეგიონერებს, სუპერლიგის მოთამაშეებს, ფედერაციის წარმომადგენლებს, მწვრთნელებს და, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა კალათბურთელებს. ყველას აინტერესებდა, რა გუნდია ჭაბუკთა ნაკრები და რისი იმედი უნდა გვქონდეს ევროჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებში.

თუმც უნდა ითქვას, რომ თავიდან ქართველების თამაშით კმაყოფილი არავინ დარჩებოდა. კობეშავიძის გუნდმა მძიმედ დაიწყო და თითქმის ყველა კომპონენტში ჩამორჩებოდა უკრაინელებს. განსაკუთრებით მძაფრად იგრძნობოდა ჩვენი ნაკრების ყველაზე დიდი მინუსი — ხეირიანი გამთამაშებლის არყოფნა. ჩვენებს თავიდან უჭირდათ ბურთის გათამაშება, მისი მეტოქის მოედანზე სწრაფად გადატანა, თუმც მერე და მერე ამასაც აუღეს ალღო და ირაკლი ძიძიგურმა კობეშავიძის გუნდის ეს ღრიჭო ამოავსო.

ქართველებმა საწყისი მეოთხედი 12:14 დათმეს, აი, მეორე ათწუთეულის ბოლოს კი უკვე 12 ქულით ჩამორჩნენ — 27:39. ჩვენების მთავარი მინუსი არაეფექტური დაცვა და შეტევაში ჭარბი ხარვეზები გახლდათ. დიდი შესვენების შემდეგ კი სულ სხვა გუნდი ვიხილეთ. კობეშავიძის შეგირდები გონივრულად ათამაშდნენ, მწყობრი დაცვაც დააყენეს და კონტრშეტევებს ხომ ახორციელებდნენ და შორი თუ ახლო დისტანციებიდანაც ჩინებულად ისროდნენ. შედეგად, უკრაინელებმა მესამე მეოთხედის საწყის 7 წუთში ბურთი ვერ ჩააგდეს, ხოლო ამ ათწეუთეულში რასაც გამორჩნენ, ორად ორი სამქულიანი გახლდათ. ჩვენებმა კი რაგინდარა კომბინაციებითა და სროლებით იხვეჭეს ქულები, მესამე მეოთხედი 23:6(!) მოიგეს და გადამწყვეტი ათწუთეულისთვის 50:45 გავიდნენ წინ.

რომელი ერთი გამოვარჩიოთ, ყველამ კარგად გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას, თუმცა კოკა ტომარაძის, ნიკა მეტრეველის და ტატო ჩაჩიბაიას კარგი თამაში ყველასთვის თვალში საცემი იყო. მეტრეველმა საბოლოოდ 21 ქულა მიითვალა და მატჩის ბომბარდირი გახდა, ხოლო მისი ჩაგდებული ყველაზე მნიშვნელოვანი ბურთი კი ალბათ სულ ბოლო იყო — ქართველები 2 ქულას იგებდნენ, სირენამდე 6 წამი რჩებოდა და დავით მაისურაძისაგან მიღებული „კანფეტივით" პასით მეტრეველმა ბურთი უკრაინელთა კალათში მოხდენილად ჩააჭედა.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ეს იყო ჭაბუკთა ნაკრების პირველი მატჩი და კობეშავიძის გუნდი უცხოური კლუბებიდან თორნიკე შენგელიასა და გიორგი შარაბიძეს ელის, დილმის ბაზაზე შეკრებილი საკალათბურთო მილეთი უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო.

**ირაკლი პერტაია**

# დრაფტებში დაკარგულები და აღმოჩენილები

*ამ ღამით ამერიკაში სადრაფტო ციებცხელება პიკს მიაღწევს, როცა ნბა-ს 30 გუნდი დიდი კალათბურთისთვის მომწიფებულ 60 მოთამაშეს გადაინაწილებს. წინასწარ უცნობია, რომელი გუნდი რომელ მოთამაშეს აირჩევს და ვინ სად მოხვდება. უფრო ნიჭიერებს მაღალი არჩევანის მქონე გუნდები დაიტაცებენ, შედარებით ნაკლებცნობილები კი მეორე წრეში გასაღდებიან. მაგრამ ყველა მაღალარჩეული როდი გახდება ვარსკვლავი, ანდა ყველა მეორე წრეში აყვანილი როდი „ჩაიძირება".*

*ქვემოთ ორ სიას გთავაზობთ. პირველში წარმოგიდგენთ ბოლო 10 წლის ხუთ იმედგაცრუებას, მეორე სიმბოლური სიისთვის კი ის მოთამაშეები შევარჩიეთ, რომელთაც ვარსკვლავობა არ ეწერათ, დრაფტის მეორე რაუნდში ჩაიკარგნენ, მაგრამ მაინც გამოანათეს.*

### 5 უდიდესი იმედგაცრუება

1. კვეიმ ბრაუნი (2001 წლის დრაფტზე პირველ ნომრად აიყვანა „ვაშინგტონმა") — იმ ხანად „ვაშინგტონის" საქმეებს მაიკლ ჯორდანი წარმართავდა და 2001 წლის დრაფტზე მის კლუბს პირველი არჩევანის გაკეთების უფლება რომ ერგო, ლეგენდარულმა კალათბურთელმა, მაგრამ უნიჭო ფუნქციონერმა დაიჟინა, გინდა თუ არა, ეს ბიჭი უნდა ავიყვანოთო. ასე გახდა 211-სანტიმეტრიანი ქუჩის ბიჭი კვეიმ ბრაუნი პირველი უნივერსიტეტგაუვლელი, ვინც დრაფტის პირველი ნომერი გახდა. ჯორდანი ორი წლით რომ დაბრუნდა მოედანზე, ბრაუნთან ერთად თამაშის „ბედნიერება" ხვდა წილად და მერეღა გაიგო, რა „პიტალო კლდესთან" ჰქონდა საქმე. ბრაუნმა ნბა-ში უკვე მეშვიდე სეზონი მოილია და სათადარიგოთა სკამს ვერ გასცდა.

2. დარკო მილიჩიჩი (2003, მე-2, დეტროიტი) — ჯო დუმარსი ამ შეცდომას ალბათ არასდროს აპატიებს საკუთარ თავს. იმ დრაფტზე „დეტროიტს" მეორე არჩევანი ჩაუვარდა ხელში. პირველის ბედი გარკვეული იყო, „კლივლენდი" ლებრონ ჯეიმსს არავის დაანებებდა, დუმარსმა კი მილიჩიჩს დასტაცა ხელი, როცა დუეინ ვეიდი, კარმელო ენტონი, კრის ბოში, კრის კამანი უპატრონოდ ისხდნენ ასარჩევთა მწკრივში. მილიჩიჩმა სამი წელი ხეხა „დეტროიტის" სკამი, შემდეგ „ორლანდოში" თითქოს ათამაშდა, მაგრამ დიდი არაფერი. ახლა უბადრუკ „მემფისში" წვალობს.

3. მაიკლ ოლოვოკანდი (1998, პირველი, კლიპერსი) — ეს ნიგერელი გოლიათი ისეთი მონაცემებით უბრმავებდა ნბა-ს კლუბებს თვალებს, რომ ახალი „ჰაკიმ ოლაჯუონი" შეარქვეს. „კლიპერსმა" ზედაც არ შეხედა ნოვიცკის, კარტერს, პირსს, ჯემისონს, ბიბის და კიდევ ათეულ სხვას და პირველი არჩევანი ამ კაცზე დახარჯა, რომელიც „ახალი ოლაჯუონი" კი არა, ნამდვილი დონდლო გამოდგა.

4. ნიკოლოზ ცქიტიშვილი (2002, მე-5, დენვერი) — ჩვენებური ნიკა ცქიტიშვილიც ერთ-ერთი უდიდესი იმედგაცრუებაა. 2002 წელს „დენვერმა" მეხუთე არჩევანი დახარჯა კარგი მონაცემების მქონე ქართველზე, მაგრამ ცქიტიშვილმა ვერ შეძლო თავისი პოტენციალის მცირე ნაწილის გამოვლენაც კი. მისი საუკეთესო შედეგი იყო პირველ სეზონში საშუალოდ ნაგროვები 3,9 ქულა. შემდეგ მან კიდევ სეზონ-ნახევარი გაატარა „დენვერში", მერე კიდევ სეზონ-ნახევარში სამი კლუბი გამოიცვალა და ევროპაში დაბრუნდა.

5. ჯეიჯეი რედიკი (2006, მე-11, ორლანდო) — რედიკი ნბა-ში საუნივერსიტეტო ლიგის ჩემპიონის რანგში და მაღალი ამბიციებით მივიდა. ეს თეთრი უკანახაზელი ამერიკის დიდი ნაკრების კანდიდატებშიც კი შეიყვანეს, მაგრამ ჯერ მისგან დიდი ხეირი არ ჩანს, ორი წელია, „ორლანდოს" სკამს ხეხავს და მაშინაც კი იშვიათად ჩნდება მოედანზე, როცა მისი გუნდი 30 ქულით იგებს ან აგებს.


კვეიმ ბრაუნი



ჯილბერტ არენასი

### მეორე რაუნდების მარგალიტები

1. ჯილბერტ არენასი (2001, 31-ე, გოლდენ სტეიტი) — პირველ რაუნდში ყველა გუნდმა რომ იგნორირება გაუკეთა და მეორეში მეორე ნომრად, ანუ ჯამში 30-ე ნომრად სამადლოდ რომ აიყვანა „გოლდენ სტეიტმა", ჯილბერტ არენასმა სულ ცოფები ჰყარა, საათეულე კაცი ვიყავი, ამას დაგიმტკიცებთო და დაამტკიცა კიდეც. პირველივე სეზონში „გოლდენ სტეიტის" ერთ-ერთ ლიდერად იქცა, შემდეგ წლებში კი ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს ბომბარდირად ჩამოყალიბდა.

2. კარლოს ბუზერი (2002, 34-ე, კლივლენდი) — მისგან ბევრი ამის ნახევარსაც არ ელოდა, მაგრამ ბუზერმა პირველივე წელს გამოავლინა ნიჭი და ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მეფარედ იქცა. ბოლო ორი სეზონი ოლ სტარში ეძახიან (შარშან ტრავმის გამო გამოტოვა) და „იუტას" 27 წლის ლიდერს პეკინისთვის ოლიმპიურ გუნდშიც უხმეს.

3. მანუ ჯინობილი (1999, 57-ე სან ანტონიო) — ათიოდ წლის წინ ამერიკა უცხოელებს ძუნწად უფასებდა ნიჭს და 1999 წლის დრაფტის ბოლოს ჯინობილი „სან ანტონიომ" სასხვათაშორისოდ აიყვანა, იქნებ ოდესმე გამომადგესო. მანუ სამი წლის მერე ჩავიდა ამერიკაში და, გამოდგომა რას ქვიან, „დეზებს" ხუთ სეზონში სამი ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარა. დღეს ის ითვლება ნბა-ს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო არაამერიკელ უკანახაზელად დრაჟენ პეტროვიჩთან (ხორვატია), სტივ ნეშთან (კანადა) და ტონი პარკერთან (საფრანგეთი) ერთად.

4. მაიკლ რედი (2000, 43-ე, მილუოკი) — „მილუოკიმ" იმ გათვლით აიყვანა, უკანა ხაზში სათადარიგოდ გამოვიყენებო, რედი კი სამ წელიწადში გუნდის მთავარ ბომბარდირად იქცა და ერთხელ ყველა ვარსკვლავის მატჩიც ითამაშა. ახლა ოლიმპიურ გუნდშია და პეკინისთვის ემზადება.

5. მონტა ელისი (2005, 40-ე, გოლდენ სტეიტი) — ამ ბიჭისგან ხეირიანს არავინ ელოდა და თითქოს ერთი, სტანდარტული მულატი მობურთალი გახლდათ, მაგრამ ელისმა მეორე სეზონში ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის პრიზი ირგუნა, ხოლო 2007-08 რეგულარულ ჩემპიონატში, ანუ თავის მესამე სეზონში 20 ქულას უწია საშუალო მონაგარი.

დრაფტის მეორე წრეებში ნაპოვნი მარგალიტთა შორის არიან ჩვენებური ზაზა ფაჩულია, მუჰამედ ოქური, კუტინო მობლი, მო უილიამსი, რაშიდ ლუისი, რაფერ ელსტონი.

**ირაკლი ფირაშვილი**

## უიმბლდონი 2008. ბალახი. 23 ივნისი–6 ივლისი საპრიზო 14 883 120 Ⓙ



მარია შარაპოვა



ალა კუდრიავცევა

# შარაპოვა პრიმაა, ბოლოში ხრჩოლდება

### კაცები

#### მეორე წრე

ნიკლას კიფერი (27, გერმანია) — მარტინ ვასალო არგუელო (არგენტინა) 6:0 6:3 6:1; რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — ერნესტ გულბისი (ლატვია) 5:7 6:2 7:6 6:3; არნო კლემანი (საფრანგეთი) — ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) 7:6 7:6 6:3; იურგენ მელცერი (ავსტრია) — ჯეს ლევაინი (აშშ) 4:6 6:2 3:6 6:4 6:1; მიხაილ იუჟნი (17, რუსეთი) — სტეფანო გალვანი (იტალია) 4:6 6:4 6:3 3:6 6:3; ტომი ჰაასი (გერმანია) — ტომი რობრედო (23, ესპანეთი) 6:4 6:4 6:3; რაინერ შუტლერი (გერმანია) — ჯეიმს ბლეიკი (9, აშშ) 6:3 6:7 4:6 6:4 6:4; ენდი მიურეი (12, ბრიტანეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:4 6:2 6:2; რადეკ შტეპანეკი (16, ჩეხეთი) — ვიქტორ ტროიცკი (სერბეთი) 6:7 6:7 6:3 6:1 6:2; იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) — ენდი როდიკი (6, აშშ) 6:7 7:5 6:4 7:6; დმიტრი ტურსუნოვი (25, რუსეთი) — კრის იტონი (ბრიტანეთი) 7:6 6:2 6:4; გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) — ნიკოლას ალმაგრო (19, ესპანეთი) 6:3 3:6 5:7 6:1 6:2; პოლ-ანრი მატიო (14, საფრანგეთი) — ჟერემი შარდი (საფრანგეთი) 6:3 7:5 7:6; მარინ ჩილიჩი (ხორვატია) — იარკო ნიემინენი (24, ფინეთი) 6:4 3:6 6:3 6:7 7:5; რიშარ გასკე (8, საფრანგეთი) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) 6:2 6:2 უარი; ჟილ სიმონი (28, საფრანგეთი) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 5:7 6:2 6:3 6:4

### ქალები

#### მეორე წრე

მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპანეთი) — სანია მრიზა (32, ინდოეთი) 6:0 4:6 9:7; ვინუს უილიამსი (7, აშშ) — ენ კეტავანგი (ბრიტანეთი) 7:5 6:2; ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) — ვერა ზვონარიოვა (13, რუსეთი) 7:6 4:6 6:3; კაროლინ ვოზნიაცი (31, დანია) — ალექსანდრა ვოზნიაკი (კანადა) 6:1 6:1; მარინა ერაკოვიჩი (ახალი ზელანდია) — ჯულია ჯორჯესი (გერმანია) 6:2 7:6; გიზელა დულკო (არგენტინა) — ლინდსი დევენპორტი (25, აშშ) უარი; დინარა საფინა (9, რუსეთი) — სუ-ვეი ჰსი (ტაივანი) 6:3 6:2; შუაი პენგი (ჩინეთი) — სიბილ ბამერი (26, ავსტრია) 7:6 4:6 6:3; ალა კუდრიავცევა (რუსეთი) — მარია შარაპოვა (3, რუსეთი) 6:2 6:4; შაჰარ პირი (24, ისრაელი) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 6:3 6:4; ელენა იანკოვიჩი (2, სერბეთი) — კარლა სუარეს ნავარო (ესპანეთი) 6:1 6:3; ვიქტორია აზარენკა (16, ბელარუსი) — სორანა კირსტეა (რუმინეთი) 6:1 6:3; ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) — ტიმეა ბაჩინსკი (შვეიცარია) 4:6 6:3 6:3; ნადია პეტროვა (21, რუსეთი) — მარა სანტანჯელო (იტალია) 6:4 7:5; აი სუგიამა (იაპონია) — ფლავია პენეტა (22, იტალია) 7:6 2:6 6:2; ალისა კლეიბანოვა (რუსეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (10, სლოვაკეთი) 6:3 4:6 6:1;

**უიმბლდონი** მოწყენის საშუალებას არ გვაძლევს. ოთხშაბათს პირველი ხმაურიანი სენსაცია კაცთა შორის მოხდა, რასაც გუშინ ქალებმაც აუბეს მხარი — ლონდონიდან დაითხოვეს ალბათ უმთავრეს ფავორიტად მიჩნეული მარია შარაპოვა. რუსი პრიმასგან, რომელიც სეზონის დასაწყისში უბრალოდ ბრწყინვალედ გამოიყურებოდა და თავისი პირველი მარცხი მხოლოდ სადღაც მარტის შუაგულში იგემა, მხოლოდ ჩემპიონობას ელოდნენ, მაშა კი აგერ, მეორე წრიდან გაუყენეს შინის გზას.

ასე იცის უყურადღებობამ და ზედმეტმა თვითდაჯერებამ. შარაპოვამ ბლომად შეცდომები დაუშვა როგორც უიმბლდონისთვის მომზადების კუთხით, ისე უშუალოდ ტურნირის მიმდინარეობისას და ამისთვის საკადრისადაც დაისაჯა. დროა, მაშამ გადაწყვიტოს, სპორტში უნდა დარჩენა, თუ პოდიუმზე. დღეისთვის სპორტი შოუ-ბიზნესის ნაწილად კი არის ქცეული და თანამედროვების წესებით რეკლამის გარეშე ვარსკვლავად ვერანაირად ვერ იქცევი, მაგრამ ყველაფერს თავისი ზომა და წონა უნდა ჰქონდეს — ყოველ შემთხვევაში, პოდიუმზე ლლაბუცმა სპორტულ მხარეს არ უნდა ავნოს. რუს პრიმას კი აშკარად ეტყობა, რომ თანდათან კარგავს რეალობის შეგრძნებას და კორტზე მეტ დროს სხვადასხვა სისულელეებს უთმობს. ამის მაგალითად შარაპოვას უიმბლდონზე მოქცევაც კმარა, როცა რუსმა, არიქა მოდურობაში ვინმემ არ მაჯობოსო და შორტებით გამოცხადდა კორტზე.

სპორტი კი ასეთ რამეებს ნაკლებად იტანს. დღეისთვის ნიჭი წარმატების მხოლოდ 10-15 პროცენტია, დანარჩენი კი მუყაითობაზე და თავდადებულ ვარჯიშზე მოდის. შარაპოვამ კი რა გააკეთა უიმბლდონისთვის მოსამზადებლად? წესით ისტბურნში უნდა ეთამაშა, მაგრამ იქ ჩასვლაზე უარი თქვა და ბალახზე ჩოგნაობის პრაქტიკაც ვერ მიიღო. „როლან გაროსიდან“ ნაადრევად გავარდა და იმის მაგივრად, რომ ეს დრო ინგლისში გაეტარებინა იქაურ პირობებთან და ახალ საფართან შესაგუებლად, დაკრა ფეხი და ლოს ანჟელესში გაიქცა, სადაც „ლეიკერს“-„სელტიქსის“ საკალათბურთო სუპერფინალის მატჩებს ესწრებოდა.

ყოველივე ამის ფონზე გასაკვირი სულაც არ არის შარაპოვას ალა კუდრიავცევასგან დამარცხება. მაშას ხომ გუშინ კორტზე არაფერი გამოსდიოდა — გამქრალიყო მისი ცნობილი მოწოდება, კორტზე ხეპრესავით მოძრაობდა და მეტოქის დარტყმულს ხშირად ვერ უსწრებდა, აქა-იქ ძალას ვერ ზომავდა და ბურთს აუტში აგდებდა და ა.შ. მოკლედ, მაშა თამაშის არც ერთ კომპონენტში არ გამოიყურებოდა თავის სიმაღლეზე და რუსი პრიმასგან ქართული „პრიმალა“ იყო დარჩენილი. ეს კი იმის ბრალია, რომ შარაპოვამ ვერაფრით იპოვა თამაშის ტონუსი, რიტმი, რაც ნამდვილად არ გაუჭირდებოდა თუნდაც ერთი-ორი მატჩი მაინც რომ ეთამაშა უიმბლდონამდე. შედეგად ცრემლები, კალმის ზვიგენთა ხროვაში ჩატარებული მტანჯველი პრესკონფერენცია და მარცხი, რომელსაც კიდევ არა ერთხელ მწარედ მოაგონებენ.

ასე რომ, შარაპოვა უიმბლდონზე თანდათან რეგრესირებს — 2005 წელს გაჩემპიონების შემდეგ სულ უფრო და უფრო აუარესებს შედეგებს. ჯერ ორჯერ ნახევარფინალში იყო, შარშან მხოლოდ მესამე წრემდე მივიდა, წლეულს კი უკვე ერთ შეხვედრაზე მეტი ვერ მოიგო.

ამ მოვლენის ფონზე როგორღაც უხერხულიც კი არის ვინუს უილიამსის კრიტიკა, რომელმაც ასევე ძალიან იწვალა, მაგრამ რუსისგან განსხვავებით მესამე წრეს მაინც უწია. უფროსი შავდას პრობლემების საფუძველიც ანალოგიურია — მასაც სათამაშო პრაქტიკა აკლია, მაგრამ ამერიკელს თავის მართლება მაინც შეუძლია, ტრავმა მქონდა და კორტზე ამიტომ ვერ გავდიოდიო.

ვინუსმა ისევ მასპინძელთან იწვალა — პირველ წრეში ნაომი კევედეიმ გაუშრო სისხლი, ახლა კი ენ კეტოვანგმა. განსაკუთრებით მძიმე უიმბლდონის მოქმედი ჩემპიონისთვის ისევ პირველი სეტი იყო, რომელიც უფროსმა უილიამსმა მხოლოდ ტაიბრეიკზე მოიგო და რომელსაც საათი და 9 წუთი მიახარჯა. არადა, ბევრს ეგონა რომ ამერიკელი ამ დროში მთლიანად მატჩს ჩაატევდა. ასეა თუ ისე, ამერიკელმა მაინც გაიკვალა გზა შემდეგ რაუნდში — გამარჯვებულებს კი არ ასამართლებენ.

ტურნირს დაემშვიდობა ლინდსი დევენპორტიც, რომელმაც თამაშიც კი ვერ მოხერხა. ამერიკელ ვეტერანს ჯერ კიდევ ლონდონში ჩასვლამდე აწუხებდა ტრავმა, რომელიც პირველი წრის მატჩის დროს გაიმიზეზა — მართალია, ის შეხვედრა ჩაამთავრა, მაგრამ გუშინ კორტზე გასვლა ველარ შეძლო და გიზელა დულკო უპრობლემოდ გაატარა წინ.

ყველაზე კარგი შთაბეჭდილება კი ელენა იანკოვიჩმა დატოვა, რომელმაც საათი იმყოფინა კარლა სუარეს ნავაროს გასანადგურებლად. სერბი ჯერჯერობით მშვიდად მიიწევს წინ და ყველაზე დამაჯერებლადაც თამაშობს.

ნოვაკ ჯოკოვიჩის გავარდნის შემდეგ კი კაცთა შორის ამ დონის სენსაცია საეჭვოა კიდევ მოხდეს, მაგრამ ჯეიმს ბლეიკის გუშინ წაგება მოულოდნელობა ნამდვილად გახლდათ. ამ ამერიკელს ტიტულის მაძიებელთა შორის ისედაც არავინ მოიაზრებდა, მაგრამ მის მეორე წრიდან გავარდნასაც ცოტა თუ ელოდა. მაგრამ რაინერ შუტლერმა გერმანული სიმტკიცე გამოიჩინა და მიუხედავად იმისა, რომ სეტებში 2:1-ს აგებდა, თამაშის მაინც სათავისოდ შეატრიალა.

აი, ერნესტ გულბისმა კი პირნათლად შეასრულა დანაპირები და რაფაელ ნადალს ნამდვილი ომი გაუმართა. თავიდან შთაბეჭდილებაც შეიქნა, რომ ესპანელი არ ელოდა მეტოქის დალაგებულ თამაშს და ლატვიელის აქტიურობას მოუმზადებელი შეხვდა. გულბისმა ამით მხოლოდ პირველი სეტის მიწურულს ისარგებლა, როცა მალიორკელს ტაიბრეიკის თამაშის უფლება არ მისცა და მსოფლიოს მეორე ნომერი ბოლო, მე-12 გეიმში დააბრეიკა.

რაფას არც ამის შემდეგ წაუვიდა თამაში, რადგანაც ისევ ბევრს სცოდავდა. მაშინ ესპანელმა ტაქტიკა შეცვალა და თავი ანება რისკს — ამის მაგივრად ჩვეული, უკანა ხაზიდან ძალისმიერი ჩოგნაობა გააჩაღა. ნადალმა აქტიურობას უკლო და უბრალოდ ბურთის მეტოქის ნახევარზე გადაგდებას ცდილობდა, თითქოს მეტოქეს იწვევდა, აბა შენ თვითონ გარისკეო. გულბისმაც ეს სატყუარა გადაყლაპა და დაისაჯა კიდეც, რადგანაც უკვე მან უმატა შეცდომებს და მეორე სეტი დათმო კიდეც.

ლატვიელმა კუდი კიდევ ერთხელ მესამე პარტიაში მოიქნია და თავისი მოწოდება ბოლომდე შეინარჩუნა, რის გამოც საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა. აქ კი, როგორც ხშირად ხდება, კლასმა თავისი გაიტანა და ამან ბალტიისპირელი საბოლოოდ გატეხა, რადგანაც მეოთხე პარტიაში უკვე გვარიანად დაბნეული იყო.

ნადალს ახლა ნიკლას კიფერთან მოუწევს დატაკება და იოლი გასეირნება არც აქ ელოდება, რადგანაც გერმანელი მშვენიერ ფორმაში იმყოფება. კიფერმა ეს ჰალეშიც დაამტკიცა, სადაც ნახევარფინალამდე მივიდა და როჯერ ფედერერსაც ღირსეულად ეომა. გერმანელი უიმბლდონზეც მშვენივრად გამოიყურება, გუშინ კი უბრალოდ გაბრდღვნა საცოდავი მარტინ ვასალო არგუელო, რომელსაც მხოლოდ ოთხი გეიმი აალებინა.

და ბოლოს, ორიოდ სიტყვის თქმას იმსახურებს მასპინძელთა იმედი ენდი მიურეი, რომელიც ჯერჯერობით ძალიან კარგად გამოიყურება და ორი წრე სულ ფრენით გაიარა. ბრიტანეთშიც მის ქებაში არიან და ეფოფინებიან, მაგრამ ეს ბიჭი მაინც არ არის მზად, პირველ რიგში ფსიქოლოგიურად, რაიმე სერიოზულის მისაღწევად.

**ბაჩა ლომაშვილი**



ბაჩო კორძაიას ფოტო

# ივლისი და ვენეცია

## ნაკრები საფაზუსლო სერიისთვის ემზადება

**საქართველოს** ხელბურთელთა ნაკრები ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში მსოფლიოს სტუდენტური ჩემპიონატისთვის მზადებას განაგრძობს. ირაკლი კეკელიძის განკარგულებაში გუშინ 12 ხელბურთელი იყო — თევზაძე, ანდრიაძე, წივწივაძე, ყიფიანი, გოგალაძე, გრიშიკაშვილი, ბერძენიშვილი, კობახიძე, მაისურაძე, ჭანტურია, ი. ჩიქოვანი, გ. ჩიქოვანი. ტრავმები აქვთ და ვერ ივარჯიშეს რატი მსხვილიძემ და ვლადიმერ რუსიამ. მსხვილიძე უკვე დღეს შეუერთდება ბიჭებს, რუსია კი ექიმების პასუხს დაელოდება.

ორსაათიანი ვარჯიში სირბილით და მოთელვით დაიწყო, მერე კი ხელბურთელებმა ფეხბურთი გააჩაღეს და გვარიანადაც იხალისეს. 4-4 მოთამაშისგან შემდგარი გუნდები პირველ გოლამდე ბურთაობდნენ და წაგებულს მომდევნო ენაცვლებოდა. ერთსაათიან ფეხბურთს კი ხელბურთის თამაში მოჰყვა.

უკვე გამოირიცხა აზერბაიჯანის ნაკრებთან ამხანაგური თამაში. ჩვენებს სურდათ, ისინი თბილისში მოეწვიათ და გაეჯიბრებოდნენ, თუმც მას მერე, რაც აზერები სტუდენტურ ჩემპიონატზე საქართველოსთან ერთ ჯგუფში მოხვდნენ, აქ ჩამოსვლა იუარეს. მართალია მიზეზი არ უთქვამთ, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამხანაგურ თამაშზე უარი ჯგუფში ერთად ყოფნამ განაპირობა. სიტყვამ მოიტანა და აქვე კიდევ ორ თანაჯგუფელზეც ვთქვათ. სერბეთი და იაპონია ჯგუფის ლიდერები იქნებიან და მათთან მოგვიწევს ურთიერთობის გარკვევა. სამწუხაროდ, ნაკრების ხელმძღვანელობას მთავარ მეტოქეებზე ინფორმაცია არ აქვს. თან პირველი თამაში სერბეთთან იქნება. ერთი ეგაა, ჩვენებს იაპონია-აზერბაიჯანის თამაშის ნახვის საშუალება მიეცემათ და აზიელებზე გარკვეულ წარმოდგენას შეიქმნიან. აზებაიჯანი კი ისედაც არაა გამოცანა...

შეგახსენებთ, ნაკრები ვენეციაში 4 ივლისს მიფრინავს 6-ში კი უკვე სერბეთთან ჯახია. სათქმელია, რომ ბიჭები მონდომებულები ჩანან და სულმოუთქმელად ელიან ჩემპიონატის დაწყებას. გუშინვე რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ. შოთა თევზაძით დავიწყოთ. ნაკრების ძირითადმა მეკარემ რუმინულ „ბაკაუსთან" გააფორმა კონტრაქტი.

შოთა თევზაძე: „ბაკაუ" რუმინეთის ჩემპიონატში მე-4 ადგილზე გავიდა. ევროთასებზეც კარგად გამოდის და ზედიზედ ორი წელი „ჩელენჯ-კაპის" ტურნირს იგებს. 1+1-წლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი და ორივე მხარის სურვილის შემთხვევაში სეზონის შემდეგ თანამშრომლობა გაგრძელდება. ხელმძღვანელობა კარგად დამხვდა, გუნდში მეგობრული ატმოსფეროა. გაძლიერებას და უფრო დიდი მიზნებისთვის ბრძოლას აპირებენ. სხვათა შორის, სერგო დათუკაშვილის დამატებაც სურდათ, მაგრამ იგი „გორენიეში" წავიდა.

ჩემი ჩასვლისთანავე ერთი მეკარე გაუშვეს. ახლა ერთი ახალგაზრდა და ერთიც, ასე 35 წლამდე რუმინელი მეკარე დარჩა. მთავარი კონკურენტიც ის იქნება.

რუმინეთის ჩემპიონატი საკმაოდ ძლიერია. ვლადიმერ რუსიაც იქ თამაშობს. სხვა შემოთავაზებებიც იყო ახლაც არის, მაგრამ უკვე გვიანია, რუმინელებმა კარგი პირობები შემომთავაზეს...

რატი მსხვილიძე: იანვარში გამართული ჩელენჯ-ტროფის" ფინალის მერე ისლანდიაში დაბრუნებულმა ვარჯიშზე მცირე ტვინის შერყევა მივიღე — თანაგუნდელი მოულოდნელად შემასკდა. ამის გამო ბევრი გამიცდა, თუმცა ახლა კარგად ვარ. მთლიანობაშიც მოვუმატე, ასე 3-4 ბურთი გამქონდა. ინდივიდუალურადაც ვემზადები და მომავალ სეზონში ალბათ მყარად მოვიკიდებ ფეხს ძირითად გუნდში. „სტიარნანი" შეკრებას 15 ივლისს იწყებს მე ვენეციიდან პირდაპირ გავფრინდები და 16-ში შევუერთდები გუნდს. წლეულს მე-5 ადგილზე გავედით და ეს ხელმძღვანელობას არ მოეწონა, შემადგენლობაში ცვლილებები იქნება. უკვე გაუშვეს უკრაინელი ლეგიონერი და ორი ისლანდიელი დაიმატეს — ერთი ადგილობრივი გუნდიდან, ერთიც დანიაში თამაშობდა.

რაც შეეხება ნაკრებს, წინა სტუდენტურ ჩემპიონატზე კარგად გამოვედით და გვინდა, ახლაც მაქსიმუმისთვის ვიბრძოლოთ.

ცუდია, რომ დათუკაშვილი და ნიკოლეიშვილი ვერ დაგვეხმარებიან, ასევე ქობელაშვილი მართალია, მათი შემცვლელები მათსავით გამოცდილები არ არიან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თავს არ დაზოგავენ.

რეზო ჭანტურია: სეზონის ბოლოს „მეტალურგთან" კონტრაქტი დამიმთავრდა და ახალ ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი 1+1 პირობით. სლოვენიური და რუმინული ვარიანტები მქონდა, მაგრამ დარჩენა ვარჩიე ის, რომ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაში მომიწევს, გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა. სეზონიც კარგი იყო ჩემთვისაც და გუნდისთვისაც, ჩემპიონები გავხდით, თასის მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ ჩემპიონობის მერე მალევე მოგვიწია ფინალის თამაში და სათანადოდ მობილიზება ვერ მოვახერხეთ. მიუხედავად იმისა, რომ პირველ ადგილზე გავედით და ევროთასებზეც კარგა შედეგი გვქონდა, მთავარი მწვრთნელი გაუშვეს. ახლა ზვონკო შივნდოვსკი გაგვწვრთნის. მაკედონიელია და ჯერ კარგად ვერ გავიცანი. „მეტალურგი" გაძლიერებას აპირებს, მით უმეტეს, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე გამოვალთ. ვნახოთ, როგორი მეტოქეები შეგვხვდება ჯგუფში. გვინდა, ორი თანაბარი ძალის გუნდი იყოს ჩვენთან, რომ გასვლის შანსი გვქონდეს.

არ მგონია, ჩემს პოზიციაზე ვინმე მოიყვანონ. ალბათ ასეც იქნება. კარგად ვითამაშე მთელი სეზონი, განსაკუთრებით პრინციპულ თამაშებში, როგორც ჩემპიონატში, ისე ევროთასებზე.

ნაკრებშიც კარგი განწყობაა, მეტოქეები კი ძლიერი შეგვხვდა. მაგრამ ჩვენც კარგი გუნდი გვყავს და ბოლომდე ბრძოლას ვაპირებთ.

**ლევსო მაისურაძე**



# ოლიმპიური გამოწვევა ტაეკვანდოს

**25 ივნისს** სპორტის დეპარტამენტის საკალათბურთო დარბაზში ოლიმპიური გამოწვევის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი ჩატარდა ტაეკვანდოში. შეჯიბრებაში შვიდი რეგიონის 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. შეჯიბრი ერთბაშად ბავშვებში, იუნიორებსა და დიდებში გაიმართა. ჩემპიონ-პრიზიორები იმავე დღეს გაირკვა.

ბავშვებში 27 კგ. წონით კატეგორიაში გიორგი ხურცილავამ გაიმარჯვა (წყალტუბო), მეორე ადგილზე გიორგი მოხევიშვილი გავიდა (თბილისი), მესამე პოზიცია კი ირაკლი ხელაძემ (წყალტუბო) და რატი მანაგაძემ (თბილისი) დაიკავეს.

33 კგ-ში გიორგი მეცხოვრიშვილმა (თბილისი) იპირველა, გიორგი ბერაძე (თბილისი) მეორე იყო, ხოლო მესამე ადგილზე გიორგი კორსანტია (წყალტუბო) და დათო მეკრავიშვილი (თბილისი) გავიდნენ.

40 კგ-ში გიორგი ქისტაურმა (თბილისი), იჩემპიონა. მეორე იყო ზაურ ხაიკაშვილი (თბილისი). ბრინჯაოს მედლები ნიკოლოზ ღონღაძემ (თბილისი) და გიორგი კაკაბაძემ (ბათუმი) მოიპოვეს.

45 კგ-ში ტარიელ შათირიშვილმა (თბილისი) გაიმარჯვა, გიორგი სოლომნიშვილი (თბილისი) მეორე გახლდათ, ხოლო მესამე ადგილზე გეკა ქამხაძე (თბილისი) და გურამ კუტუბიძე (ბათუმი) გავიდნენ.

იუნიორებში 51 კილოგრამ წონით კატეგორიაში ყველას უშანგი ოქიაშვილმა (თბილისი) აჯობა. თემურ გელაშვილი (თბილისი) მეორეზე გავიდა, მიხეილ გოგლიძემ (თბილისი) და ბესო გვიანიძემ (ბათუმი) კი მესამე ადგილი დაიკავეს.

55 კგ-ში ნიკა თურმანიძე (ბათუმი) გაჩემპიონდა. ნიკა მუჩიაშვილი (კახეთი) ვერცხლის მედალს დასჯერდა, ხოლო ლაშა ცხელიშვილმა და ლაშა ხვიტიამ (ორივე თბილისი) მესამე პოზიცია დაიკავეს.

დიდებში 58 კგ-ში ოქროს მედალი გიორგი ნიკოლაიშვილს (თბილისი) ერგო. მეოე ადგილზე ვახტანგ ჯაფარიძე (თბილისი) გავიდა. დავით ანსიანმა (თბილისი) და მურაზ მატახერიამ (ფოთი) ბრინჯაოს მედლები ირგუნეს.

68 კგ-ში ლევან პერტიამ (თბილისი) იმარჯვა. ალექსანდრე უშარაული (თბილისი) მეორეზე გავიდა. მესამეები გიორგი სანაია და უშანგი წულაია (ორივე თბილისი) იყვნენ.

80 კგ-ში ლევან ჭანტურიას (თბილისი) ვერავინ მოერია. შოთა გოჩიაშვილმა (თბილისი) ვერცხლი მოიგო. მიხეილ თოთრაშვილმა და იოსებ ოსიძემ (ორივე თბილისი) ბრინჯაოს მედლების აღება შეძლეს.

გოგონათა შორის 40 კგ წონით კატეგორიაში ყველა ქეთევან სიხარულიძემ (თბილისი) დაჯაბნა. აიდა გამბაროვა (თბილისი) მეორეზე გავიდა, ნინო ქარუმიძემ და ანა ბარბაქაძემ (ორივე თბილისი) მესამე ადგილი გაიყვეს.

55 კგ-ში გიტა ჩერქეზია (აფხაზეთი) გაჩემპიონდა. მეორე ნინო ბერიძე (თბილისი) იყო. ელინა ჯაიანმა (ბათუმი) რუსიკო კვანტალიანმა (წყალტუბო) მესამე ადგილი დაიკავეს.

**ზურაბ მიგრიაული**



# ნარიმანიძეს მშვილდი ჩემპიონთან გაუცუდდა

**საფრანგეთის** ქალაქ ბოეში გამართულ მსოფლიოს თასის ეტაპზე ხათუნა ნარიმანიძემ მეოთხედფინალებს უწია. მან საკვალიფიკაციოში მხოლოდ მე-40 შედეგი აჩვენა, მაგრამ შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით ჩამოიშორა მეტოქენი. ოცდამეთორმეტედფინალში ჩვენმა ჩუბინმა ფრანგი არნოლდი დაამარცხა — 106:99, მეთექვსმეტედფინალში დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელ ფოლკარდს მოუგო — 113:109, მერვედფინალში კი მონღოლ ურანტენგალგს გაუსწორდა — 112:104.

სამწუხაროდ, ქართველი სპორტსმენი მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონთან კორეელ პარკთან დამარცხდა — 105:112.

ამავე ტურნირზე ქრისტინე ესებუამ ოცდამეთორმეტედფინალში კი დაამარცხა ვენესუელელი ლეონი — 109:101, მაგრამ მეთექვსმეტედფინალში ველარაფერს გახდა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელ უილიამსთან და შეჯიბრებას გამოეთიშა — 104:103.

**ზურაბ მიგრიაული**



ხათუნა ნარიმანიძე

ბაჩო კორძაიას ფოტო

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# კუბიცა წუწუნებს, ქარავანი წინ მიდისო


რობერტ კუბიცა

პოლონელი რობერტ კუბიცა, რომელმაც კანადაში ისტორიული, თავისთვისაც და თავისი გუნდისთვისაც პირველი დიდი პრიზი მოიპოვა და ამჟამად გენერალურ კლასიფიკაციაში მეორეა და მხოლოდ ფელიპე მასას ჩამორჩება, უკმაყოფილა „BMW-ზაუბერის“ განვითარების ტემპით და მიიჩნევს, რომ საერთო ჩათვლის ამჟამინდელი მდგომარეობა როგორც პილოტთა, ასევე კონსტრუქტორთა შორის, რეალურად არ ასახავს ძალთა განლაგებას.

„სიმართლეს თუ ვიტყვით, ჩვენი მანქანა ამჟამად ოდენ მეხუთე ადგილისთვის ბრძოლის საშუალებას იძლევა და ეს არასაკმარისია. ხანდახან „ფერარისა“ და „მაკლარენს“ ტექნიკური პრობლემები ექმნებათ, ხან მათი პილოტებიც ცდებიან და სწორედ ამიტომ ვართ ჩვენ ასე მაღლა — განაცხადა კუბიცამ და დაამატა — ვფიქრობ, სეზონის პირველი, ავსტრალიური ეტაპის შემდეგ ყველაზე ნაკლები პროგრესი „BMW-ზაუბერს“ აქვს და ეს მაშინ, როდესაც „რენომ“ და „რედ ბულმა“, ფაქტობრივად, ნულამდე დაიყვანეს ჩვენთან არსებული ჩამორჩენა. ამიტომ, გაცილებით ეფექტურად უნდა ვიმუშავოთ. თუ უახლოეს ეტაპებზე ვერ შევძელით „მაკლარენისა“ და „ფერარის“ დაწევა, სეზონის ბოლომდე ვეღარც დავეწევით მათ.

ავსტრალიაში ჩვენ „სკუდერიაზე“ სწრაფები ვიყავით, მალაიზიასა და ბაჰრეინში „მაკლარენს“ ვაჯობეთ და ამის შემდეგ ფავორიტებმა აშკარად მოუმატეს, ჩვენ კი, თითქოს ერთ ადგილზე დავრჩით. საფრანგეთში ჩვენი ჩამორჩენა წრეზე, თითქმის წამი იყო და უბედურება ისაა, რომ არა მარტო „მაკლარენი“ და „ფერარი“, არამედ „ტოიოტა“, „რენო“ და „რედ ბულიც“ კი ჩვენზე სწრაფები იყვნენ“.

კუბიცას კრიტიკას თავისებურად გამოეხმაურა „BMW-ზაუბერის“ ტექნიკური დირექტორი ვილი რამპფი, რომელმაც პოლონელის გასაგონად ბრძანა, რომ იტალიის დიდ პრიზამდე სერიოზული ცვლილებები არ იგეგმება: „გუნდის გეგმებშია რამდენიმე სერიოზული მოდიფიკაცია და დეტალების ოპტიმიზაცია, მაგრამ ეს ყველაფერი, მხოლოდ მონცაზე გასამართი რბოლისთვის იქნება, იტალიის დიდ პრიზამდე კი იმით უნდა გავიდეთ ფონს, რაც ამჟამად გვაქვს“.

**კახა ლომაძე**

# სილვერსტოუნამდე სილვერსტოუნი

საპირველფორმულო კალენდარში დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის, ანუ სილვერსტოუნის რიგი დადგა, ანუ სწორედ იმ ტრასის, სადაც დაირწა კიდევ „სამეფო რბოლების“ აკვანი.

ბრიტანული დიდი პრიზი ივლისის პირველ უქმეებზე გათამაშდება, მანამდე კი სილვერსტოუნის ტრეკზე ტესტები ტარდება და გუნდები და პილოტები ინგლისურ ასფალტს ეჩვევიან.

ტესტების პირველ დღეს ათი მძოლი გავიდა ტრასაზე. თითოეულ გუნდს თითო პილოტი წარმოადგენდა, რომელთაგან რამდენიმე ტესტ-პილოტი იყო. საუკეთესო დრო ახლახან გამართული საფრანგეთის დიდი პრიზის მომგებმა და კარიერაში პირველად გენერალური კლასიფიკაციის პირველ საფეხურზე ასულმა ფელიპე მასამ აჩვენა. ბრაზილიელის „ფერარიმ“ ტრასას წუთსა და 20.188 წამში შემოუქროლა და თითქმის სამი მეათედი წამით აჯობა „მაკლარენ-მერსედესის“-ის ფინელ ჰეიკი კოვალაინენს. მესამე შედეგი „BMW-ზაუბერის“ პოლონელ რობერტ კუბიცას ჰქონდა, ხოლო მეოთხე, ბევრისდა გასაკვირად, „ტოიოტას“ იაპონელი ტესტ-პილოტი კამუი კობაიაში იყო, რომელმაც უკან მოიტოვა „უილიამსის“ გერმანელი ნიკო როსბერგი და „რედ ბულის“ ავსტრალიელი მარკ ვებერი.


**ტესტების მეორე დღეს ყველაზე სწრაფი ჰეიკი კოვალაინენი იყო**

მეორე დღე გაცილებით საინტერესო გამოდგა, თუნდაც იმიტომ, რომ „ფორს ინდიას“ მრავალნაცად იტალიელ ჯანკარლო ფიზიკელას საკმაოდ სერიოზული ავარია შეემთხვა და მართალია, უვნებლად გადარჩა, სესიის დასრულება ველარ მოახერხა.

ყველაზე სწრაფი კი, ამჯერად კოვალაინენი იყო, რომელმაც მასას მიერ წინა დღეს ნაჩვენები შედეგი გააუმჯობესა და საუკეთესო წრეზე წუთი და 20,015 წამი აჩვენა.

მეორე შედეგი (1.20,391) ფრანგული ეტაპის ერთ-ერთ გმირს, „ტოიოტას“ იტალიელ იარნო ტრულას ჰქონდა. მესამე როსბერგი იყო, მეოთხე — „რენოს“ ბრაზილიელი ნელსონ პიკე, მეხუთე — „ტორო როსოს“ გერმანელი სებასტიენ ფეტელი, მეექვსე — კუბიცა და მასა კი, მხოლოდ მეშვიდე ადგილით დაკმაყოფილდა.

**კახა ლომაძე**




მაურისიო სოლერი

# ბრიტანული გუნდი სოლერით და... კენიელით

შარშანდელი „ტურ დე ფრანსის“ საუკეთესო სამთო მრბოლი, კოლუმბიელი მაურისიო სოლერი ის ველოსიპედისტი გახლავთ, ვინც ბრიტანული ველოგუნდის „ბარლვორლდის“ ლიდერობას გასწევს „დიდი მარყუჟის“ გზებზე და მინიმუმ შარშანდელის გამეორებას შეეცდება.

25 წლის სოლერი მართლაც დიდებული სამთო მრბოლია, თუმც უნივერსალი ნამდვილად არ არის და გენერალურ კლასიფიკაციაში მოწინავეებს, ალბათ, საკმაოდ ჩამორჩება.

„ბარლვორლდისთვის“ წლევანდელი „ტური“ ისტორიაში მეორე იქნება და თუ სოლერი კვლავ მოირგებს საუკეთესო სამთო მრბოლისთვის განკუთვნილ წითელწინწკლებიან მაისურას, ხოლო, ვთქვათ, სამხრეთაფრიკელი რობერტ ჰანტერი ერთ სპრინტერულ ეტაპს მოიგებს, გუნდის ამოცანა გადაჭარბებითაც კი იქნება შესრულებული.

ყველაზე უცნაური კი ის გახლავთ, რომ ბრიტანული ველოგუნდის განაცხადში ერთი ბრიტანელიც კი არ არის — სოლერისა და ჰანტერის გარდა, „ბარლვორლდის“ სიაში ავსტრალიელი ბენ კუკი, სოლერისა და ჰანტერის თანამემამულენი, შესაბამისად, ფელიქს კარდენასი და ჯონ-ლი აუგუსტინი, ესპანელი მოზეს დუენას ნევადო, იტალიელები — პაოლო ლონგო ბორჯინი და ჯანპაოლო ჩეულა და, თქვენ წარმოიდგინეთ, კენიელი(!) კრისტოფერ ფრუმი ირიცხებიან.

საკმაოდ ეგზოტიკური შემადგენლობაა, მაგრამ გუნდის გენერალურ მენეჯერ კლაუდიო კორტის ეს დიდად არ აღელვებს. მთავარია, სოლერმა იაროს მთებში კარგად...

# მენშოვს მეტი უნდა

ჰოლანდიურ ველოგუნდ „რაბობანკს“ შარშან, ფაქტობრივად, მოგებული ჰქონდა „ტურ დე ფრანსი“. დანიელი მიქაელ რასმუსენი დიდი უპირატესობით ლიდერობდა და წინ აღარც მთები იყო, მაგრამ მოულოდნელად სკანდალიაგორდა, აქაოდა, რასმუსენმა „ტურის“ დაწყებამდე თავისი ზუსტი ადგილსამყოფელი არ შეატყობინა ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირს (UCI), არადა, ეს UCI-ის რეგლამენტით აუცილებელია, რათა საჭიროების შემთხვევაში სპორტსმენს დოპინგ-ტესტი აუღონ და „რაბობანკის“ შეფებმა, გართულებების თავიდან ასაცილებლად, თავად მოკვეთეს დანიელი მრბოლი გუნდიდან და „ტური“ ესპანელ ალბერტო კონტადორს დარჩა.

ისიც სათქმელია, რომ გამოკვეთილი სამთო მრბოლი რასმუსენი „ტურ დე ფრანსის“ დაწყებამდე არც ითვლებოდა „რაბობანკის“ ლიდერად, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, ანუ პირველივე სამთო ეტაპებზე რასმუსენმა იმხელა უპირატესობა მიიღო, რომ გუნდმა მასზე დიწყო მუშაობა.

ნომირალურ ლიდერს რაც შეეხება, ასეთი „რაბობანკისთვის“ ბოლო წლებში რუსი დენის მენშოვია, რომელმაც ორჯერ მოიგო ესპანური „ვუელტა“, მაგრამ „ტურზე“, ჯერჯერობით, ვერაფრით მიუღწევია წარმატებისთვის.

მენშოვი წლეულსაც გუნდის პირველი ნომერი იქნება, მაგრამ საეჭვოა, რომ პირველობისთვის ბრძოლა შეძლოს, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ წლევანდელი „რაბობანკი“ აშკარად ჩამოუვარდება შარშანდელს. თუმც, მეორე მხრივ, გუნდში ადგილი არ მოინახა ისეთი გამოცდილი მრბოლისთვის, როგორიც ჰოლანდიელი ტომას დეკერია და ეს რაღაცას ნიშნავს.

მენშოვის გარდა „რაბობანკის“ ღირსებას „ტურ დე ფრანსზე“ ჰოლანდიელები — ლოურენს ტენდამი, პეტერ ვეენინგი, სებასტიან ლანგევედი, კოოს მორენჰოუტი, ბრემ ტანკინკი, იოოსტ პოსტუმა და ესპანელები — ოსკარ ფრეირე და ხუან ანტონიო ფლეჩა დაიცავენ. ამათგან ყველაზე ტიტულიანი ჯგუფურ რბოლაში მსოფლიოს სამგზის (1999, 2001, 2004) ჩემპიონი ფრეირეა, ვინც სპრინტერული ეტაპების მოგებას შეეცდება, ხოლო დანარჩენები მენშოვის გრეგარობას გასწევენ და შეეცდებიან, თავიანთ ლიდერს ცივი ნიავი არ მიაკარონ.


დენის მენშოვი

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 27 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 481 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 2.80 | 3.40 | 2.40 | 1.53 | 1.29 | 1.40 |
| | | 28 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 478 | ლინი-ვიკინგი | 2.25 | 3.40 | 2.90 | 1.35 | 1.26 | 1.56 |
| 20:00 | 480 | სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი | 2.35 | 3.40 | 2.75 | 1.38 | 1.26 | 1.52 |
| 20:00 | 482 | ჰამ კამი-ბრანი | 3.50 | 3.40 | 2.00 | 1.72 | 1.27 | 1.25 |
| 22:00 | 483 | ალესუნდი-მოლდე | 2.35 | 3.40 | 2.75 | 1.38 | 1.26 | 1.52 |
| 20:00 | 484 | სტაბეკი-ტრომსიო | 1.60 | 3.70 | 5.10 | 1.11 | 1.21 | 2.14 |
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 479 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 2.25 | 3.40 | 2.90 | 1.35 | 1.26 | 1.56 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 28 ივნისი | | | | | | |
| 17:00 | 492 | ბრინი-სტარტი | 2.55 | 3.40 | 2.50 | 1.45 | 1.26 | 1.44 |
| | | 29 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 485 | მოსი-ალტა | 1.35 | 4.40 | 7.50 | 1.03 | 1.14 | 2.77 |
| 20:00 | 486 | ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი | 4.40 | 3.70 | 1.70 | 2.00 | 1.22 | 1.16 |
| 20:00 | 487 | ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი | 2.10 | 3.40 | 3.10 | 1.29 | 1.25 | 1.62 |
| 20:00 | 488 | სანდნესი-სპარტა ს | 2.15 | 3.40 | 2.90 | 1.31 | 1.23 | 1.56 |
| 20:00 | 489 | სანდეფიორდი-კონგსვინგერი | 1.70 | 3.60 | 4.30 | 1.15 | 1.21 | 1.95 |
| 20:00 | 490 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 2.35 | 3.40 | 2.60 | 1.38 | 1.23 | 1.47 |
| 20:00 | 491 | ნოტოდენი-ჰიოდი | 1.60 | 3.70 | 5.00 | 1.11 | 1.21 | 2.12 |
| | | ბრაზილია. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 28 ივნისი | | | | | | |
| 01:15 | 625 | პორტუგესა-სანტოსი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 29 ივნისი | | | | | | |
| 01:15 | 624 | ვასკუ და გამა-იპატინგა | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 01:15 | 626 | ვიტორია-გოიასი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 23:00 | 627 | ფიგეირენსე-ატლეტიკო მნ | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| 23:00 | 628 | სპორტ რისიფე-ფლამენგო | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 23:00 | 629 | კრუზეირო-სან პაულუ | 2.35 | 3.20 | 2.85 | 1.35 | 1.28 | 1.50 |
| 23:00 | 630 | ატლეტიკო პრ-კურიტიბა | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 01:10 | 631 | გრემიო-ინტერნასიონალი | 1.85 | 3.50 | 3.80 | 1.21 | 1.24 | 1.82 |
| 01:15 | 632 | პალმეირასი-ნაუტიკო | 1.85 | 3.40 | 3.80 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| 01:15 | 633 | ფლუმინენსე-ბოტაფოგო | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| | | ირლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 27 ივნისი | | | | | | |
| 23:00 | 611 | ფინ ჰარპსი-ბრეი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| 22:45 | 613 | დერი-სტ.პატრიკსი | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 22:45 | 614 | გალვეი-დროგედა | 4.00 | 3.30 | 1.85 | 1.80 | 1.26 | 1.18 |
| 22:45 | 615 | დუბლინი-კორკი | 4.10 | 3.20 | 1.85 | 1.79 | 1.27 | 1.17 |
| | | 28 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 616 | კობი-სლიგო | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| | | შვედეთი. თასი | | | | | | |
| | | 28 ივნისი | | | | | | |
| 17:30 | 685 | მალმიო-ჰამარბი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 686 | გიოტებორგი-ლიუნგსკილე | 1.40 | 3.90 | 8.70 | 1.03 | 1.20 | 2.69 |
| 18:00 | 687 | ენჩიოპინგი-სირიუსი | 2.25 | 3.30 | 2.80 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 18:00 | 688 | კალმარი-დეგერფორსი | 1.20 | 5.90 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.84 |

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| | | ფრენბურთი. ქალები. მსოფლიო გრან პრი. ვიეტნამი | | |
| | | 27 ივნისი | | |
| 11:00 | 668 | ბრაზილია-ყაზახეთი | 1.01 | 12.00 |
| 13:30 | 669 | გერმანია-თურქეთი | 1.50 | 2.10 |
| | | ფრენბურთი. ქალები. მსოფლიო გრან პრი. ჰონ კონგი | | |
| | | 27 ივნისი | | |
| 13:00 | 670 | იტალია-იაპონია | 1.12 | 4.00 |
| 16:00 | 671 | ჩინეთი-კუბა | 1.50 | 2.10 |
| | | ფრენბურთი. ქალები. მსოფლიო გრან პრი. პოლონეთი | | |
| | | 27 ივნისი | | |
| 19:30 | 672 | პოლონეთი-დომენიკ. რესპ | 1.25 | 3.00 |
| 22:00 | 673 | აშშ-ტაილანდი | 1.04 | 6.00 |
| | | ფრენბურთი. კაცები. ევროპის ლიგა. დიდი ბრიტ | | |
| | | 27 ივნისი | | |
| 17:00 | 681 | პორტუგალია-დიდი ბრიტან | 1.10 | 5.50 |

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 20:00 | 682 | საბერძნეთი-სლოვაკეთი | 1.80 | 1.80 |
| | | ფრენბურთი. კაცები. ევროპის ლიგა. თურქეთი | | |
| | | 27 ივნისი | | |
| 16:30 | 683 | გერმანია-ბელარუსი | 1.55 | 2.10 |
| 19:00 | 684 | თურქეთი-ავსტრია | 1.04 | 8.00 |
| | | ფრენბურთი. კაცები. მსოფლიო ლიგა | | |
| | | 27 ივნისი | | |
| 22:30 | 674 | ესპანეთი.-ბულგარეთი | 1.90 | 1.70 |
| 22:30 | 675 | საფრანგეთი.-სერბეთი | 1.45 | 2.30 |
| | | 28 ივნისი | | |
| 03:00 | 676 | აშშ-ფინეთი | 1.10 | 5.50 |
| 04:40 | 677 | კუბა-სამ კორეა | 1.04 | 6.00 |
| 10:00 | 678 | იაპონია-პოლონეთი | 2.20 | 1.50 |
| 16:00 | 679 | ჩინეთი-ეგვიპტე | 1.15 | 3.80 |
| | | 29 ივნისი | | |
| 01:30 | 680 | ვენესუელა-ბრაზილია | 6.00 | 1.10 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10478 | ლინი-ვიკინგი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10481 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10480 | სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10482 | ჰამ კამი-ბრანი | 3.90 | 2.00 | 2.25 | 1.32 | 1.42 | 1.05 |
| 10483 | ალესუნდი-მოლდე | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10484 | სტაბეკი-ტრომსიო | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10492 | ბრინი-სტარტი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10485 | მოსი-ალტა | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10486 | ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი | 4.80 | 2.10 | 2.10 | 1.46 | 1.46 | 1.04 |
| 10487 | ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10488 | სანდნესი-სპარტა ს | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10489 | სანდეფიორდი-კონგსვინგერი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10490 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10491 | ნოტოდენი-ჰიოდი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10479 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15478 | ლინი-ვიკინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15481 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15480 | სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15482 | ჰამ კამი-ბრანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15483 | ალესუნდი-მოლდე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15484 | სტაბეკი-ტრომსიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15492 | ბრინი-სტარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15485 | მოსი-ალტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15486 | ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15487 | ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15488 | სანდნესი-სპარტა ს | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15489 | სანდეფიორდი-კონგსვინგერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15490 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15491 | ნოტოდენი-ჰიოდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15479 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

# I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11478 | ლინი-ვიკინგი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11481 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11480 | სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11482 | ჰამ კამი-ბრანი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11483 | ალესუნდი-მოლდე | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11484 | სტაბეკი-ტრომსიო | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11492 | ბრინი-სტარტი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11485 | მოსი-ალტა | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11486 | ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11487 | ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11488 | სანდნესი-სპარტა ს | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11489 | სანდეფიორდი-კონგსვინგერი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11490 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11491 | ნოტოდენი-ჰიოდი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11479 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |

## ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16478 | ლინი-ვიკინგი | 1.58 | 2.10 |
| 16481 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 1.95 | 1.65 |
| 16480 | სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი | 1.65 | 2.05 |
| 16482 | ჰამ კამი-ბრანი | 2.40 | 1.45 |
| 16483 | ალესუნდი-მოლდე | 1.65 | 2.05 |
| 16484 | სტაბეკი-ტრომსიო | 1.22 | 3.40 |
| 16492 | ბრინი-სტარტი | 1.80 | 1.85 |
| 16485 | მოსი-ალტა | 1.10 | 5.50 |
| 16486 | ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი | 3.00 | 1.30 |
| 16487 | ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი | 1.50 | 2.30 |
| 16488 | სანდნესი-სპარტა ს | 1.52 | 2.20 |
| 16489 | სანდეფიორდი-კონგსვინგერი | 1.24 | 3.60 |
| 16490 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 1.65 | 2.05 |
| 16491 | ნოტოდენი-ჰიოდი | 1.22 | 3.40 |
| 16479 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 1.58 | 2.10 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17478 | ლინი-ვიკინგი | 1.85 | 1.95 |
| 17481 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17480 | სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი | 1.85 | 1.95 |
| 17482 | ჰამ კამი-ბრანი | 1.85 | 1.95 |
| 17483 | ალესუნდი-მოლდე | 1.85 | 1.95 |
| 17484 | სტაბეკი-ტრომსიო | 1.85 | 1.95 |
| 17492 | ბრინი-სტარტი | 1.85 | 1.95 |
| 17485 | მოსი-ალტა | 1.85 | 1.95 |
| 17486 | ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი | 1.85 | 1.95 |
| 17487 | ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი | 1.85 | 1.95 |
| 17488 | სანდნესი-სპარტა ს | 1.85 | 1.95 |
| 17489 | სანდეფიორდი-კონგსვინგერი | 1.85 | 1.95 |
| 17490 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 1.85 | 1.95 |
| 17491 | ნოტოდენი-ჰიოდი | 1.85 | 1.95 |
| 17479 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 1.85 | 1.95 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14478 | ლინი-ვიკინგი | 1.80 | 2.00 |
| 14481 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 1.95 | 1.85 |
| 14480 | სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი | 1.80 | 2.00 |
| 14482 | ჰამ კამი-ბრანი | 2.20 | 1.70 |
| 14483 | ალესუნდი-მოლდე | 1.80 | 2.00 |
| 14484 | სტაბეკი-ტრომსიო | 1.30 | 2.50 |
| 14492 | ბრინი-სტარტი | 1.95 | 1.85 |
| 14485 | მოსი-ალტა | 1.20 | 2.60 |
| 14486 | ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი | 2.40 | 1.45 |
| 14487 | ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი | 1.75 | 2.10 |
| 14488 | სანდნესი-სპარტა ს | 1.75 | 2.10 |
| 14489 | სანდეფიორდი-კონგსვინგერი | 1.45 | 2.40 |
| 14490 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 1.80 | 2.00 |
| 14491 | ნოტოდენი-ჰიოდი | 1.30 | 2.50 |
| 14479 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 1.80 | 2.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 12481 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12478 | ლინი-ვიკინგი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12480 | სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი | 2,5 | 1.80 | 1.70 |
| 12482 | ჰამ კამი-ბრანი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12483 | ალესუნდი-მოლდე | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12484 | სტაბეკი-ტრომსიო | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12492 | ბრინი-სტარტი | 2,5 | 2.10 | 1.60 |
| 12485 | მოსი-ალტა | 2,5 | 2.40 | 1.35 |
| 12486 | ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი | 2,5 | 2.20 | 1.45 |
| 12487 | ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12488 | სანდნესი-სპარტა ს | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12489 | სანდეფიორდი-კონგსვინგერი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12490 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 2,5 | 1.80 | 1.80 |
| 12479 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 2,5 | 1.90 | 1.70 |

# ლიპი და აბეტე შეთანხმდნენ...

**იტალიური** პრესის ცნობით, მარჩელო ლიპი ოთხშაბათს ღამე შეხვდა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ჯანკარლო აბეტეს და „სკუადრა აძურას“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაბრუნებას დათანხმდა. ოფიციალური დასტური გუშინ საღამოს მოვიდა.

რობერტო დონადონიმ თავის მხრივ განაცხადა, თუ იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ნაკრებში ჩემს ადგილს ველარ ხედავს, არანაირი კომპენსაცია არ მინდა, უფასოდ წავალო.

აბეტემ დონადონი ამის გამო შეაქო, მაგრამ აღნიშნა, კომპენსაციის კონტრაქტში ჩართვა აუცილებელი იყო და, წესით, დონადონიმ ეს თანხა უნდა აიღოსო.

ლიპის დანიშვნამდე რამდენიმე საათით ადრე აბეტემ ასე თქვა: „ჯერ გადაწყვეტილი არაფერია, მოვლენებს ნუ დავაჩქარებთ. ევრო 2008-ს დაწყებამდე, როცა დონადონისთან ახალი ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ, მოგეხსენებათ, მასში პუქტი ჩავრთეთ: თუ ნაკრები ნახევარფინალში ვერ გავიდოდა, შეთანხმების გაუქმება შეგვეძლო. ამიტომ, თუ რობერტო წავა, ამას მის მოხსნას ნუ დავარქმევთ, მოხსნა სხვა რამეა, ამას, უბრალოდ, კონტრაქტის ავტომატურად შეწყვეტა ვუწოდოთ“.

იტალიელი ფანების უმეტესობა დონადონის გადაყენებას ითხოვდა და ამის მოლოდინში იყო. ცხადია, მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ოფიციალურად რა სახელი დაერქმეოდა ახალგაზრდა მწვრთნელის წასვლას — მოხსნა თუ კონტრაქტის ავტომატური გაბათილება.

მარჩელო ლიპი კი, რომელმაც „სკუადრა აძურას“ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი მოაგებინა, მას მერე უმუშევარი იყო. შეგახსენებთ, რომ ლიპი მაშინ იმიტომ გადადგა, რომ მისი შვილი დავიდე კალჩოპოლის სკანდალში იყო გახვეული. ბევრი ამას ბინძურად იყენებდა და ლიპის ოჯახს შავ პიარს უგორებდა. ჭაღარა ტაქტიკოსს ეს ეწყინა და ჯერ კიდევ მუნდიალის ჯგუფური ეტაპისას განაცხადა, როგორც უნდა დასრულდეს ტურნირი, საქმეს ბოლომდე მივიყვან და წავალო. მიუხედავად თხოვნებისა, აღარც გადაუთქვამს. ახლა კი როგორც ხედავთ, პოსტს დაუბრუნდა.

**გიორგი ძაძაბაძე**



მარჩელო ლიპი



ფატიჰ თერიმი

# 70 მილიონი გული

**გერმანიასთან** დამარცხების შემდეგ, ფატიჰ თერიმმა თურქეთის ნაკრების გმირი ფეხბურთელები აქო, ადიდა და ბოლოს დააყოლა, თავად მე კი ერთ დიდ ევროპულ გუნდში მივდივარო.

„თამაშის შემდეგ ჩემს მოთამაშეებს გამოვემშვიდობე. ადრეც მქონდა ნათქვამი, რომ მომავალი სეზონიდან თურქეთის ნაკრებს აღარ ვუთავკაცებდი და სიტყვის გატეხვა არ მჩვევია. უახლოეს მომავალში, ალბათ, ევროპულ ფეხბურთში, ერთ-ერთ ცნობილ კლუბში მიხილავთ, მაგრამ ამ კლუბს ვერ დავასახელებ. ეს მათ უნდა დამასახელონ, როგორც თავიანთი ახალი ხელმძღვანელი“.

შემდეგ კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „გალათასარაისა“ და „მილანის“ ყოფილმა თავკაცმა თავისი ფეხბურთელები ადიდა.

„მათ ძალიან უნდოდათ გამარჯვება. ფინალშიც ვიყავით გამსვლელები, მაგრამ ხანდახან ასეც ხდება, ბოლო წამს აგებ და ასეთ მარცხსაც უნდა შეეგუო. მაგრამ, ამიერიდან, ნახევარფინალის გემო გასინჯული გვაქვს და მუდმივად უნდა ვიბრძოლოთ ასეთივე შედეგის გამეორებისათვის.

თურქეთში ფეხბურთი ძალიან უყვართ. დღეს, ჩემი მოთამაშეების გულებთან ერთად, 70 მილიონი თურქის გული სცემდა. მწამს, ჩვენი დონის გუნდი ყოველ შეჯიბრებაში მეტისთვის და მეტისთვის უნდა იბრძოდეს. ვამაყობ ჩემი გმირებით და ვფიქრობ, მათი ტაქტიკის, ოსტატობის და ჟინის შემყურე მსოფლიო დარწმუნდა, თუ რა გუნდთან ჰქონდა საქმე. მგონი, შეჯიბრების ყველაზე ფერსავსე გუნდი ჩვენ ვიყავით“.

**პაპუნა ძედია**

# ფილი მას კიდევ გამოწურავს

**ინგლისში** დარწმუნებით ამბობენ, რომ „ჩელსის“ ახალი მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი ლონდონურ კლუბს რონალდინიოს ყიდვას სთხოვს.

როგორც ირკვევა, დიდმა ფილმა „ბარსელონას“ ბრაზილიელ ვარსკვლავთან ორიოდ დღის წინ ილაპარაკა და უთხრა, რომ სიამოვნებით იხილავდა მას „სტემფორდ ბრიჯზე“. მოგეხსენებათ, რონალდინიო გასული სეზონის განმავლობაში ტრავმებმა და პირადმა პრობლემებმა ჩვეული კალაპოტიდან ამოაგდო. „ბარსელონაში“ მიიჩნევენ, რომ მათ გუნდში ბრაზილიელმა თავი ამოწურა.

ხოლო სკოლარი ამ დღეებში ჩავა ლონდონში და რომან აბრამოვიჩს დაელაპარაკება. ის შეეცდება „ჩელსის“ მეპატრონე დაარწმუნოს, რომ რონალდინიოში ფულის გადახდა სახსრების განიავება არ არის.

შეგახსენებთ, რომ სკოლარის რონალდინიო მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე იაპონიასა და სამხრეთ კორეაში ჰყავდა. ბრაზილიის ის გუნდმა ტიტული მოიგო, ასე რომ, დიდმა ფილმა დინიოს შესაძლებლობები კარგად იცის და დარწმუნებულია, რომ მისგან ჯერ კიდევ გამოწურავს სარგებელს.

რაც შეეხება ფასს, აქ გარკვეული განსხვავებაა: „ბარსა“ ცდილობს, რონალდინიო 25 მილიონ გირვანქად გაყიდოს, სკოლარი კი ფიქრობს, რომ ასეთ ფეხბურთელში 15 მილიონიც საკმარისია.

კიდევ, სკოლარის გეგმის თანახმად რონალდინიო სარეკორდო და ასტრონომიულ ხელფასს არ მიიღებს. ბრაზილიელ ვარსკვლავს ჯონ ტერის დარად კვირაში 130 ათასად შეაფასებენ.

„სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ რონალდინიუს შეძენით დაინტერესებულია „მანჩესტერ სიტიც“. ტაილანდის ყოფილი პრემიერის, ტაქსინ შინავატრას კლუბი ფეხბურთელისთვის უფრო დიდი გასამრჯელოს შეთავაზებას აპირებს. მანჩესტერელთა გეგმის თანახმად, ბრაზილიელი მათთან წელიწადში მილიონით მეტს მოიხვეჭს, მაგრამ სკოლარი ფიქრობს, რომ ეს მილიონი ბევრს არაფერს ნიშნავს.

„ბარსას“ კიდევ ერთ ვარსკვლავთან, ბრაზილიური წარმოშობის პორტუგალიელ დეკუსთან „ჩელსის“ უკვე ყველაფერი მოგვარებული აქვს და მესამეს, კამერუნელ სამუელ ეტოოსაც უტრიალებს.



რონალდინიო

**პაპუნა ძედია**

# რუშთუ რეჩბერმა ისტორიაში ჩაყვინთა



**თურქმა** მეკარემ, რუშთუ რეჩბერმა სანაკრებო ფეხბურთიდან წასვლა გამოაცხადა. ასე და ამგვარად, 35 წლის კარის მცველისთვის ეროვნულ გუნდში ბოლო, 114-ე თამაში ევრო 2008-ის ნახევარფინალი გამოვიდა. შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრაში თურქეთმა გერმანიასთან წააგო, 2:3.

„ვამთავრებ ჩემს სანაკრებო კარიერას, ვეთხოვები ეროვნულ გუნდს, რომელსაც 14 წლის განმავლობაში სიამაყით, პატივით და სიხარულით ვემსახურე — განუცხადა რუშთუმ ევრო 2008-ის ოფიციალურ ვებ-გვერდს — მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ამ ხნის განმავლობაში მეხმარებოდა. ვამაყობ ყველა თანაგუნდელით. მათ მთელი თურქეთი უნდა დაუდგეს მხარში, რადგან ამ გუნდს ბევრის მიღწევა შეუძლია“.

მოგეხსენებათ, რუშთუ ევროპის ჩემპიონატზე მეორე მეკარის რანგში ჩავიდა, მაგრამ თურქთა მთავარმა გოლკიპერმა, ვოლქან დემირელმა ჩეხებთან შეხვედრაში წითელი ბარათი მიიღო და ვეტერანს ორ შეხვედრაში მონაწილეობის საშუალება მიეცა.

**პაპუნა ძედია**

## ლიბერტადორესის თასი 2008

### ფინალი. პირველი მატჩი

**ლიგა დე კიტო (ეკვადორი) 4:2 ფლუმინენსე (ბრაზილია)**

1:0 ბიელერი (2), 1:1 კონკა (12), 2:1 გერონი (28), 3:1 კამპოსი (33), 4:1 ურუტია (45), 4:2 ტიაგუ ნევეში (52)

**ლიგა დე კიტო:** სევალიოსი, კაიე, ნ. არაუხო, კამპოსი, გერონი, ვერა, ურუტია, ამბროსი, ბოლანიოსი, მანსო (ვ. არაუხო 74), ბიელერი (დელგადო 82)

**მწვრთნელი:** ედგარდო ბაუსა

**ფლუმინენსე:** ფერნანდუ, გაბრიელი, ტიაგუ სილვა, ლუიშ ალბერტუ, ჟუნიორ სეზარი, იგორი, აროუკა (მაურისიუ 67), სისერო, კონკა, ტიაგუ ნევეში (როჟერი 90), ვაშინგტონი (დოდო 72)

**მწვრთნელი:** რენატუ გაუჩუ

**გაფრთხილება:** ვერა, ლუიშ ალბერტუ, ბიელერი, იგორი, ნ. არაუხო, ვაშინგტონი

**მსაჯი:** კარლოს ჩანდია (ჩილე)

50 000 მაყურებელი

# ლიგა მაგარია?



ეკვადორელთა ერთ-ერთი გოლი არგენტინელი კლაუდიო ბიელერის ანგარიშზეა

**ეკვადორული** კლუბი, როგორც ჩანს, ტრადიციას არღვევს — ბოლოხანს სამხრეთ ამერიკაში უძლიერესის ტიტული ხან „ბოკა ხუნიორსისაა“, ხანაც კიდევ რომელიმე ბრაზილიური კლუბის, ბოლოს ასეთი „სან პაულუ“ გახლდათ. თითქოს არც „ფლუმინენსეა“ ჯაბანი, მაგრამ იმას, რაც ბრაზილიურმა გუნდმა გუშინწინ ღამით კიტოში ითამაშა, ფეხბურთს ძნელად უწოდებს კაცი. ამის გამგონე, იტყვით, ალბათ, აბა, ორი ბურთი როგორღა გაიტანეს, თუ ფეხბურთი არ უთამაშიათო? როგორ და, ეკვადორელი მცველების ორი მიუტევებელი შეცდომით, 2:4 კი ის ანგარიშია, საპასუხო მატჩის წინ შანსს რომ გიტოვებს. დიახ, ლიბერტადორესის თასის ფინალი ორმატჩიანია და 106 წლის ისტორიის მქონე „ფლუს“, ურიგო შანსი ნაღდად არ აქვს, ყველაფერი შინ გამოასწოროს, თუმც...

არგენტინული „ესტუდიანტესი“ და „სან ლორენსო“, მექსიკური „ამერიკა“ — ეს ის გუნდებია, ეკვადორელებმა რომ გამოთიშეს ფინალამდე, თავის მხრივ კი, „ფლუს“ არანაკლებ ტიტულიანები დაუმარცხებია: „სან პაულუ“ და „ბოკა ხუნიორსი“, ლიბერტადორესის თასის ბოლო გამარჯვებული.

ფინალი ისე დაიწყო, ეკვადორელი ქომაგი უკეთესს რომ ვერ ინატრებდა, კლაუდიო ბიელერმა უკვე მე-2 წუთზე გახსნა ანგარიში, როცა გერონის ჩაწოდებულს პოზიციურად ზუსტად შეურჩია ადგილი და „ფლუს“ მეკარე ფერნანდუ ახლოდან დახვრიტა.

გაშვებულმა გოლმა „ფლუმინენსე“ გაახელა, ბრაზილიელები დიდი ძალებით გადავიდნენ შეტევაზე, მაგრამ სახეიროს ვერაფერს ქმნიდნენ. ვერც შექმნიდნენ, მცველ კამპოსს პირდაპირ საჯარიმოს ხაზთან უაზრო ჯარიმა რომ არ „აეკიდებინა“. აბა, ასეთ საჩუქარს ვინ გაუშვებდა ხელიდან? „ფლუს“ ერთადერთმა ლეგიონერმა, არგენტინელმა კონკამ ბრწყინვალედ შესრულა სტანდარტი, შორეულ ცხრიანში გაფრენილი ბურთის ამღები სევალიოსი ნაღდად არ იყო, აკი, ვერც აიღო. ისე, როგორია, მე-12 წუთზე უკვე 1:1 იყო და გულშემატკივარიც მაგარი ფეხბურთის მოლოდინში გაემზადა და, როგორც მერე გაირკვა, ფეხბურთს მხოლოდ ერთი გუნდი, „ლიგა დე კიტო“ თამაშობდა.

შემდეგ, 28-ე წუთამდე არაფერი მომხდარა და ამ დროიდან რომ დაიწყეს ეკვადორელებმა, ტაიმის ბოლომდე სამი გოლი გაუტანეს ფერნანდუს — გერონმა დასწრებაზე იხეირა, კამპოსმა და ურუტიამ კი ფლანგიდან ჩაწოდებულებზე იხეირეს თავურებით.

4:1 და საქმე უკვე მომთავრებული იყო, ამის მერე კი იკადრეს „ფლუს“ ფეხბურთელებმა ერთი ადგილის განძრევა, რასაც ტიაგუ ნევეშის გოლი მოჰყვა, რომელმაც მეკარე სევალიოსის შეცდომით უმალ ისარგებლა.

მატჩის მიწურულს მასპინძლებს მეხუთეს გატანაც მართებდათ, მაგრამ შეცვლაზე შესულ დელგადოს სიზუსტემ უმტყუნა.

ერთი სიტყვით, 4:2 და ყველაფერი საპასუხო მატჩში გაირკვევა, 2 ივლისს „ფლუმინენსე“ ლეგენდარულ „მარაკანაზე“ დაუხვდება ეკვადორელებს. ეს გუნდები ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდნენ ერთმანეთს, კიტოში მატჩი ფრედ — 0:0 დასრულდა, რიო დე ჟანეიროში კი ბრაზილიელებმა 2:0 მოიგეს.

**გიორგი გუჯაბიძე**

# დაგვანებოს ბარსამ თავი!

## რა ფენერი, რის ფენერი





სესკ ფაბრეგასი

**სესკ ფაბრეგასი** „ბარსელონაზე“ გაბრაზდა. თურმე, კატალონიელები „არსენალის“ ფეხბურთელებს დაუთარავად თაფლავენ და „კამპ ნოუზე“ ეპატიჟებიან.

საინტერესოა, რომ ფაბრეგასის გაბრაზება დაემთხვა პერიოდს ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალსა და ნახევარფინალს შორის — სხვა სიტყვებით, იმ დღეებს, როდესაც იტალიის ნაკრების დამარცხების შემდეგ, გადამწყვეტი პენალტის გატანისთვის ესპანური პრესა-ტელევიზია დღე და ღამ მასზე ლაპარაკობდა.

კერძოდ, რამ გააბრაზა ესპანელთა და ლონდონელთა ვარსკვლავი? მის თანაგუნდელებზე, ალექსანდ გლებსა და ემანუელ ადებაიორზე ნადირობამ.

ფაბრეგასი: „კარგი იქნება, „ბარსა“ ჩვენს მიმართ პატივისცემას თუ გამოამჟღავნებს. ბოლო კვირების განმავლობაში ითქვა, რომ ისინი თავისთან ჩვენს შვიდ ფეხბურთელს ეპატიჟებიან, ასე ქცევა კი საჭირო ნამდვილად არ არის. ეს ფეხბურთელების აღელვებას და გულაცრუებას იწვევს. „არსენალი“ ასეთ რამეებს სხვანაირად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე აკეთებს. თუ ფეხბურთელს შენთან წამოსვლა უნდა, ალიაქოთის გარეშეც წამოვა“.

საინტერესოა, რომ ბოლო თვეების განმავლობაში ზუსტად იგივე იწვნია „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მადრიდის „რეალისგან“ — მადრიდელებმა პრესის საშუალებით სცადეს კრიშტიანუ რონალდუსთვის თავგზის არევა და კაცმა რომ თქვას, აურიეს კიდეც. სხვა ამბავია, რომ გადაბირებით ვერ გადაიბირეს პორტუგალიელი ვარსკვლავი.

ამასობაში კი ესპანეთის ნაკრების 69 წლის მწვრთნელმა ლუის არაგონესმა განაცხადა, რომ სტამბოლის „ფენერბაჰჩესთან“ არანაირი ხელშეკრულება არ გაუფორმებია და ხმები მისი თურქეთში გადასვლის შესახებ, ტყუილია.

**ბაჩუნა ძიძია**

# ფერარი რომას დაშორდა



**მატეო ფერარი** „რომასთან“ ახალ კონტრაქტს აღარ გააფორმებს, იგი თავისუფალი აგენტი გახდა და კარიერას ალბათ „მილანში“ ან „ფიორენტინაში“ გააგრძელებს.

ალჟირში დაბადებულ 29 წლის ფეხბურთელს „რომაში“ სათადარიგო მცველის სტატუსი არ აკმაყოფილებდა და ამიტომ წასვლა არჩია მიუხედავად იმისა, რომ „გლადიატორები“ მშვენიერ კონტრაქტს სთავაზობდნენ.

„კლუბის გამოცვლა გადავწყვიტეთ. მინდა დავამშვიდო ყველა და წერტილი დავუსვა მითქმა-მოთქმას, თითქოს, „რომას“ მატეოს გაშვება უნდოდა. დედაქალაქელებმა მშვენიერი ოთხწლიანი კონტრაქტი შემოგვთავაზეს, მაგრამ ყველაფრის გაანალიზების შემდეგ გადავწყვიტეთ, სხვა გზით წავსულიყავით. მატეოს გუნდში ყველასთან ბრწყინვალე ურთიერთობა აქვს და ასე ტოვებს „რომას“. „ფიორნეტინასთან“ და „მილანთან“ მოლაპარაკება მიმდინარეობს, კვირის ბოლოს ან მომავალი კვირის დასაწყისში რაღაც კონკრეტულს ველოდებით. ახლა ის შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი კლიენტი უცხოეთში არ წავა. მას იტალიაში დარჩენა და ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება სურს“ — განაცხადა ფერარის აგენტმა ჯანი კურჩიმ.

**გიორგი ძაძამიძე**

## კორვეტო უდინეზეში

**„უდინეზემ“** 22 წლის ნიჭიერი ჩილელი ნიკოლას კორვეტო დაიმატა. იგი „აუდაქს იტალიანოში“ თამაშობდა და რამდენიმე კლუბის ყურადღებაც მიიქცია. სავარაუდოდ, „ძებრეტე“ გამოცდილების მისაღებად და იტალიურ ფეხბურთთან შესაგუებლად მას ერთი წლით სერია B-ს რომელიმე კლუბში გაანათხოვრებს. შეგახსენებთ, რომ უდინელთა რიგებში კიდევ ორი ჩილელი ირიცხება — მაურისიო ისლა და ალექსის სანჩესი.

## ჩიგარინის ჩელსიც უმიზნებს

**ლონდონის** „ჩელსი“ ლუკა ჩიგარინისთვის ბრძოლაში ჩაერთო. ცხადია, რომ ახალგაზრდა და ნიჭიერი პლეიმეიკერი სერია B-ში გავარდნილ „პარმაში“ არ დარჩება. „ჩელსის“ გარდა, ჩიგარინით „იუვენტუსი“, „ნაპოლი“, „ჯენოა“ და სხვანი არიან დაინტერესებულნი. იტალიაში ჩიგარინის ახალ ანდრეა პირლოს ეძახიან.

## პალერმო და მაკარტი

**სიცილიურმა** „პალერმომ“ ბოლო ორ კვირაში რამდენიმე ფეხბურთელი კი გაუშვა, მაგრამ შვიდი ახალი მოთამაშე დაიმატა და კიდევ აპირებს გაძლიერებას. გუნდის ამჟამინდელი სამიზნე შოტლანდიის პრემიერლიგაში აღზევებული „ჰამილტონის“ 17 წლის ნიჭიერი შემტევი ნახევარმცველი ჯეიმს მაკარტია.

„ჯეიმსს საკმაო ხანია, ვაკვირდებით და ვიცით, რა შეუძლია. გვითხრეს, რომ ახლა უკვე 4 მილიონი გირვანქა ღირს, მაგრამ ჩვენ რეალური ფასი შევთავაზეთ და იმედია, შეთანხმებას მივაღწევთ“ — თქვა „პალერმოს“ პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ.

## ვარგასი ია გახდა

**როგორც** იქნა, ფლორენციის „ფიორენტინამ“ შეიძინა ხუან მანუელ ვარგასი. 24 წლის ნიჭიერმა პერუელმა „კატანიაში“ ორი წელი გაატარა და „ელეფანტის“ მაისურა 65-ჯერ მოირგო. მან ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და გრანდების ყურადღება მიიპყრო. გავრცელებული ცნობით, „იებს“ სამხრეთამერიკელი 14-15 მილიონი ევრო დაუჯდათ. „ფიორენტინამ“ ვარგასს ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა და სეზონში დაახლოებით მილიონ ევროს გადაუხდის.

## ფიგუ რჩება

**ვეტერანმა** პორტუგალიელმა ნახევარმცველმა ლუიშ ფიგუმ „ინტერში“ კიდევ ერთი სეზონით დარჩენა გადაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ „ნერაძური“ მისმა თანამემამულემ ჟოზე მაურინიუმ ჩაიბარა.

ლუიშ ფიგუ: „წინა სეზონში ტრავმის გამო ბევრი გამიცდა. არ მინდოდა, კარიერა ასე დამესრულებინა და გადავწყვიტე, კიდევ ერთი წელი ვითამაშო, რათა დავამტკიცო, რომ მაღალ დონეზე გარჯა და გუნდისთვის სარგებლის მოტანა კიდევ შემიძლია“.

## ფოჯა ლაციოში დაბრუნდა

**25 წლის** პასკუალე ფოჯა, რომელმაც გასული სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო და ნაკრებშიც მოხვდა, რომის „ლაციოში“ დაბრუნდა. „კალიარიმ“ დედაქალაქელების მიერ მოთხოვნილი თანხა არ მოიწონა და გადაწყვიტა, ნახევარმცველი აღარ გამოესყიდა. მიუხედავად უდავო ტალანტისა, ფოჯამ აქამდე ვერ მოახერხა „ბიანკოჩელესტის“ რიგებში დამკვიდრება და ეიმედაბა, რომ ამჯერად ამას შეძლებს.

**ძოძი ძანძღლაძი**

# სიახლეები რომაში



მაურო ესპოზიტო

**იტალიურ** „რომაში" სიახლეებია. „გლადიატორებმა" მაურო ესპოზიტოს კონტრაქტის მეორე ნახევარიც გამოისყიდეს „კალიარისგან", რომელშიც 29 წლის შემტევმა ნახევარმცველმა 6 ჩინებული სეზონი გაატარა.

მართალია, ესპოზიტომ „რომას" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ შეძლო, მაგრამ კლუბის უფროსობა მიიჩნევს, რომ იგი მაინც საჭირო მოთამაშეა. შეთანხმების ფინანსური დეტალები ჯერ არ გახმაურებულა.

„გლადიატორებს" ახალწვეულიც ჰყავთ — სიმონე ლორია, ვინც გასული სეზონი „სიენაში" შთამბეჭდავად ჩაატარა და მას სხვა გრანდებსაც უკავშირებდნენ. 31 წლის მცველი გუნდიდან წასული მატეო ფერარის შემცვლელად მოიაზრება.

„სიენასთან" მიღწეული გარიგების შედეგად, ლორიას „რომაში" ნიჭიერი ბრაზილიელი მეკარე არტურ გუსმაუც გადმოყვება.

სანაცვლოდ ტოსკანელებმა იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი დანიელე გალოპა და ჯანლუკა კურჩის კონტრაქტის ნახევარი მიიღეს. ნიჭიერი განელი ნახევარმცველი აჰმედ ბარუსო კი მომავალ სეზონში „სიენაში" იჯარის წესით ითამაშებს.

„გლადიატორთა" ბრაზილიელმა ლეგიონერმა ამანტინუ მანსინიმ კი ჯერ ისევ არ იცის, სად ითამაშებს მომავალ სეზონში. „ინტერში" მისი გადასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ ტრანსფერი გაიწელა და ფეხბურთელიც კლუბების გადაწყვეტილებას ელოდება.

„ჯერაც არაფერი ვიცი. „რომაში" ხუთი ბრწყინვალე წელი გავატარე, კლუბთან ერთად მოვიგე იტალიის თასი და სუპერთასი. ძალიან გამიმართლა, რომ „ჯალოროსიში" აღმოვჩნდი. იქაურები ბრაზილიელებს ძალიან გვანან, თბილად შემხვდნენ და „რომაში" თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. რომელია ჩემი საყვარელი მეტსახელი? ორი მაქვს და ორივე მომწონს — რომაელები ძალიან გონებამახვილნი არიან. ისინი „დიამანტინოს" მეძახიან, რაც პატარა ბრილიანტს ნიშნავს. მეორე მეტსახელი კი „ღმერთის ქუსლია", ეს „ლაციოს" კარში ჩემს მიერ ქუსლით გატანილი გოლის საპატივცემულოდ მოიფიქრეს. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, იქ ფაქტობრივად ფორვარდად ჩამოვყალიბდი და გარემარბის ფუნქციები შემიმცირდა. თუმცა ბრაზილიის ღირსების დაცვა ძალიან მინდა და მზად ვარ, ნებისმიერ პოზიციაზე ვითამაშო, რათა ნაკრებში ჩემი ადგილი დავიმსახურო. მით უმეტეს, რომ ორწლიანი პაუზის მერე, ისევ ყურადღებას მაქცევენ" — განაცხადა მანსინიმ.

**კოკი კანდელაკი**

# ვის დასჭირდა ბრმა აუქციონი?

**იტალიურ** კლუბებს 25 ივნისამდე ჰქონდათ ვადა სანახევრო მფლობელობაში მყოფ ფეხბურთელებზე შეთანხმების მისაღწევად. უმეტეს შემთხვევაში მხარეებმა საერთო ენა გამონახეს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, არის შემთხვევები, რომელთა ბედს ბრმა აუქციონი გადაწყვეტს, ანუ რომელი კლუბიც უფრო დიდ თანხას ჩაწერს კონვერტში, ფეხბურთელიც მას დარჩება, იმ თანხას კი, შესაბამისად, მეორე გუნდს გადაუხდის.

ამ ხერხით გაარკვევენ „ფიორენტინა" და „პიაჩენცა", თუ ვის დარჩება ნიჭიერი ახალგაზრდა ფორვარდი დანიელე კაჩა.

„უდინეზე" და „ატალანტა" ერთმანეთში ბრაზილიელ ნახევარმცველ ფერნანდო ტისონეს გაიყოფენ. „ტორინო" და „ლეჩე" კი თავდამსხმელ ელვის აბრუსკატოს.

ბევრი შეთანხმება ბოლო მომენტში შედგა. მაგალითად, „რეჯინამ" ჯანდომენიკო მესტო „უდინეზესგან" დაახლოებით 6 მილიონ ევროდ გამოისყიდა.

„ფიორენტინა" „ჯენოას" გაურიგდა ნდიაი პაპა ვაიგოს შესახებ, ვინც ორივეს საკუთრებად რჩება, მაგრამ მომავალ სეზონსაც „იებში" გაატარებს.

„ინტერმა" რობერტო აკვაფრესკა ბოლომდე გამოისყიდა „კალიარისგან", მაგრამ ახალგაზრდა ფორვარდი მომავალ სეზონს ისევ სარდინიელთა მაისურით ჩაატარებს, იჯარის წესით.

„სამპდორია" „ლაციოს" გაურიგდა ივან არტიპოლის შესახებ და რომაელებისგან ფეხბურთელი კიდევ ერთი წლით ინათხოვრა. გარდა ამისა, გენუელები „უდინეზეს" მირკო პიერისა და სალვატორე ფოტის შესახებ მოელაპარაკნენ. პირველი ამიერიდან „სამპდორიას" საკუთრებაა, მეორე კი სანახევრო მფლობელობაში რჩება.

„უდინეზემ" „არეცოსგან" ბოლომდე გამოისყიდა ანტონიო ფლორო ფლორესი.

და ბოლოს, „ჯენოამ" „იუვენტუსისგან" მატეო პაროს კონტრაქტის მეორე ნახევარიც იყიდა. ეს გენუელებს თითქმის 2 მილიონი ევრო დაუჯდათ.

**კოკი კანდელაკი**



ფერნანდო ტისონე

## ბოკანეგრა რენში გადავიდა

**ამერიკის** ნაკრების კაპიტანი კარლოს ბოკანეგრა ფრანგულ „რენში" გადავიდა. მან ბოლო ხუთი წელი ლონდონის „ფულემში" გაატარა, მაგრამ ახლა კლუბთან კონტრაქტი ამოეწურა და მხარეება ახალ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს ანუ ბოკანეგრა „რენში" თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა.

გარდა ამისა, „რენმა" „ტულუზისგან" მეკარე ნიკოლა დიშე იყიდა და მასთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

## ბენფიკამ ბალბოა იყიდა

**მადრიდის** „რეალმა" 23 წლის თავდამსხმელი ხავიერ ბალბოა ლისაბონის „ბენფიკაში" გაყიდა. იგი სამეფო გუნდის ძირითად შემადგენლობაში ძალიან იშვიათად ხვდებოდა და ამიტომ წასვლა ისურვა. პორტუგალიურმა კლუბმა ნიჭიერ ფორვარდში 6 მილიონი ევრო გადაიხადა და ბალბოასთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

## ფუხსი გაბოხუმელდა

**გერმანულმა** „ბოხუმმა" პერსპექტიული ავსტრიელი ნახევარმცველი კრისტიან ფუხსი იყიდა. გერმანელებმა 22 წლის ფეხბურთელი „მატერსბურგიდან" დაიმატეს და მასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. სხვათა შორის, ევრო 2008-ზე გერმანიასთან მატჩში ფუხსი ავსტრიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში იყო.

## კარასო ტულუზის კარს დაიცავს

**27 წლის** მეკარე სედრიკ კარასო ფრანგული „მარსელიდან" „ტულუზში" გადავიდა. მან თავის ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ძალიან მიხარია, რომ „ტულუზში" გადმოვედი. „მარსელის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავკარგე, ჩემს ასაკში კი სისტემატურად თამაში აუცილებელია. იმედია, აქ ამის საშუალება მექნება" — თქვა კარასომ.

## ადებაიორის 70-80 პროცენტი

**ემანუელ ადებაიორის** აგენტის ვინჩენცო მორაბიტოს თქმით, მისი კლიენტი „მილანში" გადასვლასთან ძალიან ახლოსაა. ამისთვის, „არსენალმა" ტოგოელი ფორვარდის შემცვლელი უნდა იპოვნოს, რომელსაც უკვე ეძებს კიდეც.

„ლონდონელები ადებაიორის შემცვლელს ეძებენ და სანამ არ იპოვნიან, „მილანთან" მოლაპარაკება ფინალურ სტადიაში არ შევა. თუმცა ჩემი განწყობა ოპტიმისტურია. ემანუელის „სან სიროზე" გადასვლის შანსი 70-80 პროცენტია" — აღნიშნა მორაბიტომ.

## არდა იტალიაში მიდის

**თურქეთის** ნაკრებისა და „გალათასარაის" შემტევი ნახევარმცველი არდა თურანი, რომელმაც ევრო 2008-ზე ბრწყინვალედ ითამაშა, კარიერას ალბათ იტალიაში გააგრძელებს. ამის შესახებ მისმა აგენტმა აჰმედ ბულუთმა ისაუბრა.

„ყველაფერი საბოლოოდ ალბათ მომავალ კვირაში გაირკვევა. ბევრი კლუბი დამიკავშირდა, არდას ფასიც საკმაოდ მაღალია. საუკეთესო ვარიანტს ვეძებთ, მაგრამ გადაჭრით შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი კლიენტი მომავალ სეზონში იტალიაში ითამაშებს და თან ერთ-ერთ დიდ გუნდში. მისით „იუვენტუსი" და „მილანი" არიან დაინტერესებულნი. ორშაბათიდან კონკრეტულ მოლაპარაკებებს ვიწყებთ" — თქვა ბულუთმა.

## გამოსყიდული რადუ

**რომის** „ლაციომ" 21 წლის ნიჭიერი რუმინელი მცველი სტეფან რადუ ბუქარესტის „დინამოსგან" ბოლომდე გამოისყიდა. „ბიანკოჩელესტის" ახალ კრისტიან კივუდ შერაცხული 21 წლის ფეხბურთელი დაახლოებით 6,5 მილიონი ევრო დაუჯდა. გარდა ამისა, „ლაციო" გაურიგდა „ბოლონიას" მურად მეგნის თაობაზე და სანახევროდ „როსობლუს" მფლობელობაში მყოფი ფრანგი ნახევარმცველიც მომავალ სეზონს „სტადიო ოლიმპიკოზე" გაატარებს.

## პალერმომ კაროძიერი იყიდა

**სიცილიურმა** „პალერმომ" მორის კაროძიერი დაიმატა. 28 წლის ახმახმა მცველმა სერია A-ს გასულ სეზონში „ატალანტას" მაისურით 20 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა. მან „პალერმოსთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „როზანეროში" კაროძიერი „ნაპოლიში" გადასულ ლეანდრო რინაუდოს შეცვლის.

## პაოლუჩი კატანიაში

**ახალგაზრდა** და ნიჭიერი თავდამსხმელი მიკელე პაოლუჩი, რომელიც „იუვენტუსისა" და „უდინეზეს" საკუთრებაა, ერთი წლით „კატანიამ" ინათხოვრა. პარალელურად, სიცილიელებმა „რეჯანადან" პერსპექტიული ფეხბურთელი ანდრეა კატელანი დაიმატეს, რომელსაც „ტორინო" და „რეჯინაც" უტრიალებდნენ. გავრცელებული ცნობით, „ელეფანტი" „ბოკა ხუნიორსის" ნახევარმცველ პაბლო ლედესმასაც უმზირებს.

**კოკი კანდელაკი**

# ჩქაროსნული მატარებლიდან დანახული ბარსელონა




**ორი წლის წინ, მაისში „ბარსა" ჩემპიონთა ლიგის მოგებას ზეიმობდა და ფრანკ რაიკარდს ხელის გულზე ერბოკვერცხს უწვავდნენ. მომდევნო ორ წელიწადში გუნდი დაღმა წავიდა, ჰოლანდიელს კი ისეთი ცეცხლი შეუნთეს, რომ კატალონიაში აღარ დაედგომებოდა და „ბარსაში" მისვლიდან ხუთი წლის თავზე იქურებს დაემშვიდობა. ბარსელონაში გატარებულ წლებს ფრანკ რაიკაარდი იხსენებს ინტერვიუში, რომელიც კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა**

**— კატალონიაში გატარებული ხუთი წელი და „ბარსელონა" როგორი იყო?**

— „ბარსა" მეტია, ვიდრე კლუბი. ეს აქ ყველამ იცის. ჩვენ კი, უცხოელებმა, უნდა გავიცნოთ „ბარსელონა", ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ კატალონიაში, რათა გავიგოთ, თუ რას ნიშნავს „მეტი, ვიდრე კლუბი". დრო გვჭირდება, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ვიგებთ.

**— თქვენ როდის გაიგეთ?**

— თვითმფრინავიდან ჩამოსვლისთანავე დამხვდა ხალხი, რომელმაც მაშინვე სცადა ჩემთვის ამის ახსნა, მაგრამ დიდი ახსნა-განმარტება საჭირო არ ყოფილა. ყოველდღიურად, ნელ-ნელა თვითონ ვხვდებოდი.

**— „მილანის" და „სარაგოსას" მაისურით „კამპ ნოუზე" გითამაშიათ, მაგრამ მაშინ „ბარსელონას" გასახდელში არ ყოფილხართ.**

— ის, რომ „ბარსა" კლუბზე მეტია, გასახდელში შეუსვლელადაც იგრძნობოდა, მაგრამ სულ სხვაა, როცა ამ ქალაქში ცხოვრობ და ხალხს იცნობ, რადგან უფრო მეტ საინტერესოს იგებ. მუდამ მადლიერი ვიქნები იმის გამო, რომ „ბარსას", ამ ქვეყანას და ადამიანებს დავუახლოვდი. აქაური კულტურა გავითავისე და შიგნიდან დავინახე ის, რც ჩემთვის უცხო იყო.

**— განცდა გირჩევნიათ თუ სიტყვის მოსმენა?**

— შეგრძნება და ემოცია ზოგჯერ უფრო ძლიერმოქმედია, ვიდრე სიტყვა. აქ მუშაობისას ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩქაროსნულ მატარებელს შევახტი. უკან მოხედვისას კი ფიქრობ, რამდენი დრო გასულა...

**— ხუთი წელი..**

— მაშინ ის, რაც აქ ამ ხნის განმავლობაში გადამხდა, სიამაყის საფუძველს მაძლევს, რაკი ჩემი საქმის კარგად გაკეთებას ვცდილობდი. ისე ვიყავი საქმეში ჩაფლული, რომ ვერც შევამჩნიე, ხუთი წელი როგორ გავიდა. თითქოს თითებშუა გამისხლტა. აქ გატარებულ წლებში ცხოვრების მთავარ იდეად „ბარსას" აღმავლობა დავისახე და ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი გულის ნაწილს ბარსელონაში ვტოვებ.

**— სად წაგიყვანათ ჩქარმა მატარებელმა?**

— ძალიან შორს. არსებობდა იმის რისკი, რომ საკუთარ მიზნებში ჩავკეტილიყავი, მაგრამ თუ გვერდზეც არ გაიხედე, საინტერესო რამ გამოგრჩება. კარგი რამეების გამოტოვება კი გზადაგზა არ შეიძლება. მუდამ ვცდილობდი, საუკეთესო გამელო მათთვის, ვისთან ერთადაც ვმუშაობდი და ვისაც ჩემი სჯეროდა. მინდოდა, ქომაგებს „ბარსას" თამაშისგან მიეღოთ სიამოვნება, რომელსაც იმსახურებდნენ. სულიერადაც გავმდიდრდი, ბევრი ადამიანი გავიცანი და მეგობარი შევიძინე, რაც გუნდის შედეგებზე ნაკლებად მნიშვნელოვანი არაა.

**— ამ სიტყებს სწორად გაიგებენ?**

— არასწორად რატომ უნდა გაიგონ? ვიცი, რომ გამარჯვება და კიდევ გამარჯვებაა გუნდისთვის მთავარი, მაგრამ გოლების და მატჩების მოგების გარდა, ადამიანური ურთიერთობებიც ხომ არსებობს.

**— „ბარსამ" რა მოგცათ?**

— უნიკალური შანსი, რომელიც გამოვიყენე. როცა გულით მუშაობ, იღბალიც შენსკენაა და კარგი გუნდი გყავს, გამარჯვება მოდის. დიდი შრომა გავწიეთ და ბევრი ადამიანის ოცნება წინსვლაში დაგვეხმარა. ყველაფერმა ერთად კი დაუვიწყარი დღეები მაჩუქა და ამით ბედნიერი ვარ.

**— თქვენ რა მიეცით?**

— არ ვიცი, რა ვთქვა. ალბათ, გავმეორდები და მადლობას გადავუხდი „ბარსას" იმისთვის, რომ თავისი ისტორიის ნაწილი გამხადა.

**— მაგრამ, ხომ ხვდებით, რომ ახლა გუნდი ისეთი არაა, თქვენს მოსვლამდე რომ იყო.**

— ვიმედოვნებ, რომ გუნდის უკეთესობისკენ შეცვლაში ჩემი მცირე წვლილიც ურევია. ყველამ თავის საქმე გულმოდგინედ უნდა აკეთოს, მთავარი ესაა და ამ მხრივ ვერ ვიტყვი, რომ მე რაიმე განსაკუთრებული მოვიტანე.

**— თუ შეგიძლიათ განსაზღვროთ, რას ნიშნავს კლუბის გარშემო არსებული ვითარება?**

— ჰოლანდიაშიც დაახლოებით ისე იყო, როგორც „ბარსაში". „აიაქსიდან" ვიცი, რას ნიშნავს ფსიქოლოგიური წნეხი. გარშემო არსებული ვითარება კი ისაა, რაც კლუბის გარეთაა, მაგრამ გუნდზე მოქმედებს. აქაური ამბები ჩემთვის სიურპრიზი არ ყოფილა.

**— თქვენზე როგორ მოქმედებდა ხოლმე „ბარსას" გარშემო შექმნილი ვითარება?**

— ვფიქრობ, რომ ყველა ქვეყანაში და კლუბში აზრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აფრქვევენ, როცა საქმე ცუდად მიდის. „ბარსას" კარგი შედეგები ჰქონდა და კარგ ფეხბურთს აჩვენებდა. აზრიც კლუბის ნაწილია და ამაზე არ ვწუწუნებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისიც სიმართლეა, რომ როცა რაღაც ირევა, „გარშემო არსებული ვითარებაც" მაშინ ცოცხლდება.

**— როგორი ურთიერთობა ჩამოყალიბდა თქვენს, ფეხბურთელებსა და „კამპ ნოუს" შორის?**

— მწვრთნელი გუნდის ნაწილია. ბევრისთვის მთავარი ნაწილი, რადგან თუ გუნდი იგებს, გამოდის, რომ მწვრთნელი საქმეს კარგად აკეთებს. წაგების შემთხვევაში კი ყველამ იცის, დამნაშავე ვინცაა. ამ მხრივ, რაც მეტი ხალხია გარშემო, მით უფრო დიდია წნეხი. ყოველთვის ვცდილობდი, ეს გამეგო და კრიტიკას ყურს ვუგდებდი.

**— ზოგჯერ ამბობენ, რომ აქაური ქომაგი ცივია...**

— მომენტს გააჩნია. ფანებს ლამაზად მოთამაშე და ჩემპიონი გუნდის ნახვა სურთ. როცა ამას ვერ ხედავენ, კრიტიკას არ აგვიანებენ. ხანდახან, ძალიან ლამაზი ფეხბურთი ქომაგის მოთხოვნას ისე ზრდის, რომ ოდნავ ნაკლებ სანახაობრივი, მაგრამ მოგებული თამაშით უკმაყოფილოა. ფეხბურთელებზე ეს წნეხი მოქმედებს და თუ გუნდი ვერ გაუძლებს, წააგებს. აქაური ფეხბურთელები ქომაგის კრიტიკას შეჩვეულია და უმკლავდება, უცხოელისთვის კი ძნელია ამის გადატანა.

**— არსებობს აზრი, რომ მაყურებელი „მოგებებმა დაღალა"...**

— არა მგონია, ქომაგი მოგებამ დაღალოს. ხანდახან გუნდი ცდილობს, მაგრამ რაღაც არ გამოსდის, გულშემატკივარი კი ამას ხედავს და ჩუმადაა. მათ უნდა გაიგონ, რომ გამარჯვება ზოგჯერ ტანჯვით მოდის. სხვა ქვეყნებში ფანები 90 წუთის განმავლობაში მღერიან, მიუხედავად იმისა, აგებს თუ იგებს მათი გუნდი.

**— ლილიან ტურამმა თქვა, რომ „ბარსას" წონასწორობა აკლდა. ეთანხმებით?**

— შეუძლებელია, რომ „ბარსაზე" განზოგადოებულად იმსჯელო და გაარკვიო, თუ რა აკლდა კონკრეტულად. ისტორია ბევრი მომენტისგან შედგება. რაზე ვსაუბრობთ? როგორ გუნდზე? როცა ყველაფერი კარგადაა, ცხადია, რომ წონასწორობაც დაცულია და კლუბსა და ქომაგებს შორისაც ჰარმონიაა. მიზეზის დაკონკრეტება არ გამოვა.

**— კრუიფმა აქ მწვრთენლად რვა წელი გაატარა, თქვენ ხუთი, ვან გაალმა და ვენეიბლსმა — სამსამი. „ბარსას" არ ჰყავს თავისი ფერგიუსონი და თქვენი აზრით, ეყოლება ოდესმე?**

— შედარება ძნელია. ინგლისური და ესპანური ფეხბურთი განსხვავებულია. სულ სხვადასხვა ფილოსოფიაა, თითქმის საპირისპირო. აქ კლუბის პრეზიდენტს ირჩევენ, მერე პრეზიდენტს თავისი ხალხი მოყავს და ასე შემდეგ, „მანჩესტერში" კი ალექს ფერგიუსონი დაბერდა და კლუბი საწარმოსავით მუშაობს. „ბარსაში" მსგავსი რამ შეუძლებელია.

**— ორი წლის წინ „ბარსას" ჩემპიონთა თასი მოაგებინეთ. როგორ დაგამახსოვრდათ ის საღამო?**

— დაუვიწყარი და განუმეორებელია.

**— როგორ სიბერეს ისურვებთ?**

— ბავშვურს. სიბერეზე არც ფიქრობ. მინდა, ვიცხოვრო სიხარულით და ბავშვური გულით.

# ძე ცთომილის დაბრუნება



**კრიშტიანუ რონალდუმ** „მანჩესტერ იუნაიტედში" დარეკა და უთხრა: „მე დავბრუნდები".

როგორც ინგლისურმა ტაბლოიდებმა შეიტყვეს, პორტუგალიელი ვარსკვლავი ინგლისის ჩემპიონის წარმომადგენელთაგან მთელი თვეა, არავის შეხმიანებია.

და მანჩესტერელ ქომაგებსაც სწორედ ამის გაგონება უნდოდათ ყველაზე მეტად. ახლა მათ ზუსტად იციან, რომ „იუნაიტედის" 23 წლის ლიდერი ჩვეულებრივ, მათი გუნდის სხვა ფეხბურთელების მსგავსად, დათქმულ დღეს ვარჯიშზე გამოცხადდება, ეს დათქმული დღე კი 10 ივლისს უწევს — რონალდუ და „მანჩესტერის" შეფები სეზონის ბოლოს რომ დაცილდნენ, შეთანხმდნენ, რომ ის ინგლისში პორტუგალიის ნაკრებისთვის ევრო 2008-ის დასრულებიდან სამ კვირაში უნდა დაბრუნებულიყო.

ასე და ამგვარად, დღეს უკვე ნათელია, რომ რონალდუს მადრიდის „რეალში" გადასვლის ამბავი შეწყვეტილი თუ არა, შეჩერებული მაინც არის.

აღსანიშნავია, რომ რონალდუსა და კლუბის ოფისის სატელეფონო საუბარში თავიდან ისე ითქვა, თითქოს ფეხბურთელი კოჭის მცირე ოპერაციის გასაკეთებლად ამ კვირაშივე უნდა დაბრუნებულიყო მანჩესტერში, მაგრამ შემდეგ ცოტა მეტ დასვენებაზე შეთანხმდნენ. რონალდუს, აგრეთვე, უთხრეს, რომ „იუნაიტედის" მწვრთნელი, ალექს ფერგიუსონი, მისი შენარჩუნებით ისევეა დაინტერესებული, როგორც ადრე.

ცნობისათვის: ფერგიუსონი, სამხრეთ საფრანგეთში გატარებული არდადეგების შემდეგ სამსახურში ორშაბათს ბრუნდება. როგორც ამბობენ, ის დარწმუნებულია, რომ რონალდუსთან საუბრის შემდეგ პორტუგალიელ შეგირდს დაარწმუნებს, რომ მისი ადგილი სადმე სხვაგან კი არა, სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედშია". ასეთი საუბარი რონალდუს და სერ ალექსს შორის 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ერთხელ უკვე შედგა.

**ბაჩუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ობიექტი



აი, ეს არის ერთობა და ნაღდი სახალხო ევროკავშირი, რომლისკენაც თურქები ასე მიილტვიან: გერმანია — თურქეთის ნახევარფინალის მერე ერთად ფრიალებს თურქული და გერმანული დროშები. თანაც ურიგო საქმე არ უნდა იყოს, გერმანელ გოგონასთან ცეკვა.

ხოლო როცა ცეკვა და ლაღობა დამთავრდა — რაკი ყველაფერს აქვს დასასრული — ბერლინში, ბრანდებურგის კარიბჭესთან ნაგვის უზარმაზარი გროვა დახვავდა, რომელიც უთენია გაიტანეს დაუზარელმა მეეზოვეებმა.

გერმანელებმა იზეიმეს ბაზელშიც და ეს ზეიმი ხიდიდან წყალში ხტომაში გამოიხატა.

უშუალოდ თამაშისას კი მოედანზე ჩახტა სტრიკერი, ვინაც ამ საქციელით მხარი დაუჭირა ტიბეტის დამოუკიდებლობას ჩინეთისგან. ოლონდ უხეირო სიგნალის გამო ეს ეპიზოდი ჩვენ ლაივში არ გვინახავს.








მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ. შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

# კარლსბერგი წარმოგიდგენთ საუკეთესოებს


უესლი სნეიდერი

ევროპის ჩემპიონატის ყოველი მატჩის მერე, მოგეხსენებათ, საუკეთესო ფეხბურთელს ასახელებენ.

ამ საქმის სპონსორი ლუდსახარში „კარლსბერგი" გახლავთ და ამიტომაც **Carlsberg Man of the Match Award** ჰქვია.

ევროპაზე ერთი თამაშიღაა დარჩენილი ანუ 30 მატჩის ამდენივე საუკეთესო მოთამაშე უკვე დასახელებულია. უფრო სწორად, 27 მოთამაშე, რაკიღა სამნი: ანდრეი არშავინი, უესლი სნეიდერი და დავიდ ვილია საუკეთესო მოთამაშედ ორ-ორჯერ აღიარეს.

| | | |
|---|---|---|
| 7 ივნისი | ტომაშ უიფალუში (ჩეხეთი) | შვეიცარია 0:1 ჩეხეთი |
| 7 ივნისი | კლეპერ პეპე (პორტუგალია) | პორტუგალია 2:0 თურქეთი |
| 8 ივნისი | სტიპე პლეტიკოსა (ხორვატია) | ავსტრია 0:1 ხორვატია |
| 8 ივნისი | ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია) | გერმანია 2:0 პოლონეთი |
| 9 ივნისი | კლოდ მაკელელე (საფრანგეთი) | რუმინეთი 0:0 საფრანგეთი |
| 9 ივნისი | უესლი სნეიდერი (ჰოლანდია) | ჰოლანდია 3:0 იტალია |
| 10 ივნისი | ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი) | საბერძნეთი 0:2 შვედეთი |
| 10 ივნისი | დავიდ ვილია (ესპანეთი) | ესპანეთი 4:1 რუსეთი |
| 11 ივნისი | კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია) | ჩეხეთი 1:3 პორტუგალია |
| 11 ივნისი | არდა თურანი (თურქეთი) | შვეიცარია 1:2 თურქეთი |
| 12 ივნისი | ლუკა მოდრიჩი (ხორვატია) | ხორვატია 2:1 გერმანია |
| 12 ივნისი | როჟერ გერეირო (პოლონეთი) | ავსტრია 1:1 პოლონეთი |
| 13 ივნისი | ანდრეა პირლო (იტალია) | იტალია 1:1 რუმინეთი |
| 13 ივნისი | უესლი სნეიდერი (ჰოლანდია) | ჰოლანდია 4:1 საფრანგეთი |
| 14 ივნისი | დავიდ ვილია (ესპანეთი) | შვედეთი 1:2 ესპანეთი |
| 14 ივნისი | რომან პავლიუჩენკო (რუსეთი) | საბერძნეთი 0:1 რუსეთი |
| 15 ივნისი | ნიჰატ ქაჰვეჩი (თურქეთი) | თურქეთი 3:2 ჩეხეთი |
| 15 ივნისი | ჰაქან იაქინი (შვეიცარია) | შვეიცარია 2:0 პორტუგალია |
| 16 ივნისი | ივან კლასნიჩი (ხორვატია) | პოლონეთი 0:1 ხორვატია |
| 16 ივნისი | მიხაელ ბალაკი (გერმანია) | ავსტრია 0:1 გერმანია |
| 17 ივნისი | დანიელე დე როსი (იტალია) | საფრანგეთი 0:2 იტალია |
| 17 ივნისი | რობინ ვან პერსი (ჰოლანდია) | ჰოლანდია 2:0 რუმინეთი |
| 18 ივნისი | ანდრეი არშავინი (რუსეთი) | რუსეთი 2:0 შვედეთი |
| 18 ივნისი | ხაბი ალონსო (ესპანეთი) | საბერძნეთი 1:2 ესპანეთი |
| 19 ივნისი | ბასტიან შვაინშტაიგერი (გერმანია) | პორტუგალია 2:3 გერმანია |
| 20 ივნისი | ჰამით ალთინთოფი (თურქეთი) | ხორვატია 1:1(პენ.1:3) თურქეთი |
| 21 ივნისი | ანდრეი არშავინი (რუსეთი) | ჰოლანდია 1:3დ.დ.(1:1) რუსეთი |
| 22 ივნისი | იკერ კასილიასი (ესპანეთი) | ესპანეთი 0:0(პენ.4:2) იტალია |
| 25 ივნისი | ფილიპ ლამი (გერმანია) | გერმანია 3:2 თურქეთი |
| 26 ივნისი | ანდრეს ინიესტა (ესპანეთი) | რუსეთი 0:3 ესპანეთი |


დავიდ ვილია


ანდრეი არშავინი


უიფალუში


პეპე


პლეტიკოსა


პოდოლსკი


მაკელელე


იბრაჰიმოვიჩი


რონალდუ


არდა თურანი


მოდრიჩი


გერეირო


პირლო


პავლიუჩენკო


ქაჰვეჩი


ჰაქან იაქინი


კლასნიჩი


ბალაკი


დე როსი


ვან პერსი


ალონსო


შვაინშტაიგერი


ალთინთოფი


კასილიასი


ლამი


ინიესტა

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

**euro_fan_2008@yahoo.com**

ევროპის ჩემპიონატის მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## ნახევარფინალი

### №30 რუსეთი 0:3 ესპანეთი

26 ივნისი. ვენა (ავსტრია). „ერნსტ ჰაპელი". 52 000 მაყურებელი

0:1 ხავი (50), 0:2 გუისა (73), 0:3 სილვა (82)

1 აკინფეევი

მწვრთნელი გუს ჰიდინკი

22 ანიუკოვი 2 ვ. ბერეზუცკი 4 იგნაშევიჩი 18 ჟირკოვი

11 სემაკი

17 ზირიანოვი 20 სემშოვი 9 საენკო

10 არშავინი

19 პავლიუჩენკო

9 ტორესი 7 ვილია

21 სილვა 8 ხავი 19 სენა 6 ინიესტა

11 კაპდევილა 5 პუიოლი 4 მარჩენა 15 სერხიო რამოსი

მწვრთნელი ლუის არაგონესი

1 კასილიასი

შეცვლა: ვილია – 10. ფაბრეგასი (34), სემშოვი – 15. ბილიალეტდინოვი (56), საენკო – 21. სიჩევი (56), ხავი – 14. ხაბი ალონსო (69), ტორესი – 17. გუისა (69)

გაფრთხილება: ჟირკოვი (56), ბილიალეტდინოვი (60)

მსაჯები: ფრანკ დე ბლეკერე (ბელგია); პეტერ ჰერმანსი (ბელგია), ალექს ვერსტრატენი (ბელგია)

| რუსეთი | | ესპანეთი |
|---|---|---|
| 17 | ჯარიმა | 14 |
| 3 | კუთხური | 4 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 1 | კარში დარტყმა | 11 |
| 1 | თამაშგარე | 4 |
| 29,17 წთ | ბურთის ფლობა | 31,21 წთ |
| 48% | ბურთის ფლობა | 52% |

## ვინ რა თქვა

*ლუის არაგონესი:* „ვილიას კუნთი დაეჭიმა, საგანგაშო არაფერია, თუმცა დავიდს ფინალი გაუცდება".

*სესკ ფაბრეგასი:* „ფინალში ვართ, სწორედ ეს იყო ჩვენი მიზანი. იქ კი გერმანია გველის და ეს უდიდესი გამოწვევაა".

*გუს ჰიდინკი:* „ესპანელთა გეგმა ჩვენი დაქანცვა იყო და ესაა მიზეზი იმისა, რომ მეორე ტაიმში ველარ მოვუმატეთ. ასეა თუ ისე, ნახევარფინალისტობაც საამაყო მიღწევაა. მართლაც ძლიერი მეტოქე გვყავდა, რომელმაც ალალად გვაჯობა".

ფერნანდო ტორესის 6 დარტყმიდან რუსთა კარისკენ მხოლოდ 2 წავიდა, ხოლო რომან პავლიუჩენკოს ოთხივე დარტყმა მიზანს აცდა.

იგორ აკინფეევმა 3 ბურთი კი გაუშვა, მაგრამ 8 დარტყმა კი მოიგერია, იკერ კასილიასს კი საქმეში ჩართვა ერთადერთხელ მოუხდა.

ვასილი ბერეზუცკიმ კონსტანტინ ზირიანოვს ბურთი 16-ჯერ მიაწოდა, მთლიანობაში კი სხვებზე მეტი პასი სერხიო რამოსის ანგარიშზეა — 75.



დანიელ გუისას ეფექტური გოლი

# ესპანეთი რეკლამისას გავიდა და გავიდა

**იმედია,** რომ ის მშობლები, რომლებმაც ბავშვებს რუსეთში ჰიდინკის სახელი დაარქვეს, წუხანდელი მატჩის შემდეგ სახელს არ გადაარქმევენ.

ჰოლანდიასთან მოგებამ დიდი რეკლამა გაუწია რუსთა ნაკრებს, მაგრამ ესპანეთი რეკლამის დროს გასული იყო, რადგან ამ პროდუქტს ჯგუფიდან იცნობდა. პირველ მატჩში სამბურთიანი სხვაობით მოუგო და ის ანგარიში საეჭვო რომ არ გამხდარიყო, წუხელაც გაუმეორა, ოღონდ სხვა მეგოლეებით.

ახლა ესპანელთა მთავარი სადარდებელი ფეხნატკენი დავიდ ვილიაა და მან კვირისთვის უნდა მოასწროს გამოკეთება.

კვირას მას სამგოლიან ლუკაშ პოდოლსკისთან შეხვედრა ელის, რომელიც ერთით ჩამორჩება ტურნირის ესპანელ ბომბარდირს.

ვილიას გასვლის შემდეგ რუსებმა ცოტა ამოისუნთქეს, რადგან სწორედ ვალენსიელმა გაუტანა მათ ჯგუფის მატჩში სამი გოლი, მაგრამ მისმა შემცვლელმა ფაბრეგასმა მეტოქე არანაკლებ დაჩაგრა.

კონსტანტინ ზირიანოვი ჰოლანდიასთან შეხვედრის შემდეგ პაპიროსის მოწევაში ამხილესო, არადა წუხელ მარტო ზირიანოვი კი არა, მთელი გუნდი პაპიროსნაწევს ჰგავდა.

თითქმის იგივე დაემართათ, რაც ჰოლანდიას მათთან. არადა, იტალიასთან 120-წუთიან ომგადატანილ ესპანელებზე ერთი დღით მეტი დაისვენეს.

და, რაკი დასვენება ვახსენეთ, იკერ კასილიასზეც უნდა ვთქვათ. მატჩისას წვიმდა და რეალელი მეკარე ისე უსაქმოდ იყო, ქოლგა რომ დაეჭირა, არაფერიც დაშავდებოდა. შემწუხებელი ხომ არავინ ჰყავდა...

დასვენებულ რუსებზე სალად კი არაგონესის გუნდი გამოიყურებოდა. სერხიო რამოსმა ისე მოინდომა, რომ ტორესზე და ვილიაზე წინ გარბოდა.

რანაირად არ დაიგრიხა ტორესი, მაგრამ მეხუთე მატჩში მეორე ვერ გაიტანა.

სამაგიეროდ, ბარსელონური კომბინაცია და ესპანელთა პირველი გოლი იყო ისეთი, რომ რუსთა დაცვა დაგრიხა. ხავი-ინიესტა-ხავი და ბურთი აკინფეევის ფეხებში გაძვრა.

დაწინაურებულები იმტაზე მოვიდნენ და სესკ ფაბრეგასმა თითქმის ფეხის გაუნძრევლად გაუკეთა პასი ახალშესულ გუისას, რომელმაც ჩემპიონატზე მეორე გოლი მიითვალა.

ფაბრეგასმა დავიდ სილვასაც არ აწყენინა და ერთი პასი მასაც მიართვა. სილვამ იტალიასთანაც და წუხელაც გულიანად იშრომა და ამ ორ მატჩში ერთი გოლი ალალად ეკუთვნოდა.

ევროპის მე-13 ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი მატჩიღა დარჩა. დასრულებამდე კი არა, ამას ველოდით 7 ივნისიდან და ეს თურმე გერმანია — ესპანეთი ყოფილა. ევროპის სამგზის ჩემპიონი ერთხელ ჩემპიონის წინააღმდეგ.

ბოლოს ეს გუნდები 2003 წლის 12 თებერვალს, მალიორკაზე ამხანაგურად შეხვდნენ და მასპინძლებმა 3:1 მოიგეს.

ისე, თუ ვინმემ გითხრათ, რომ წუხელ არშავინმა 90 წუთი ითამაშა, არ დაუჯეროთ...

**ვაჟა ხუციშვილი**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დავიდ ვილია (ესპანეთი) | 4 |
| ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია) | 3 |
| ჰაქან იაქინი (შვეიცარია) | 3 |
| რომან პავლიუჩენკო (რუსეთი) | 3 |
| სემიჰ შენთურქი (თურქეთი) | 3 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge